# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



შაბათი, 21 დეკემბერი, 2013 წელი.

№247 (7375)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## პუტინის „კეთილგანწყობა“

ვლადიმერ პუტინი საქართველოს ხელისუფლებისა და ქართველი ხალხის მიმართ კეთილგანწყობაზე ალაპარაკდა. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი უშვებს შესაძლებლობას, რომ საქართველოსთან უვიზო რეჟიმი აღადგინოს და ქართველ მეწარმეებს რუსულ ბაზარზე მუშაობის საშუალება მისცეს.



②

## ხუხაშვილი ადვოკატებს დაერია

②

## რას უნდა ველოდოთ გაფართოებული შაჰ-დენიზიდან?

⑧



③

## „ეროვნული სამედიცინო ცენტრის შექმნამ გაცილებით დიდი ეფექტი იქონია ქუთაისზე, ვიდრე პარლამენტმა“



## იოსებ სტალინი:

ჩემი სიკვდილის შემდეგ ბევრ ნაგავს მომაყრიან, მაგრამ ამ ნაგავს ისტორიის ქარი გაფანტავს...

⑥-⑦

## აი, სად უჭირს საქართველოს

④



## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

## ვინ გაარკვევს სიმართლეს?

# ხუხაშვილი ადვოკატებს დაერია

**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი გია ხუხაშვილის მიერ ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლის და მუქარის ფაქტებზე საუბრობს.**

**როგორც ზაზა ხატიაშვილმა დიმიტრი გაბუნიასა და მამუკა მდინარაძესთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, საქართველოში ადვოკატთა კორპუსის დევნის ახალი ტალღა დაიწყო.**

ხატიაშვილის ინფორმაციით, ადვოკატთა ასოციაციის წევრზე, ადვოკატ დიმიტრი გაბუნიაზე პრემიერ-მინისტრის ეკონომიკურმა მრჩეველმა გია ხუხაშვილმა ზეწოლა განახორციელა.

— ადვოკატ დიმიტრი გაბუნიას მიერ ბრიფინგზე გაკეთებული განცხადების შემდეგ, სადაც მან გია ხუხაშვილის გვარი ახსენა, გაბუნიას დაურეკა პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა ეკონომიკურ საკითხებში გია ხუხაშვილმა და დაემუქრა. ასევე, ადგილი ჰქონდა ადვოკატების - დიმიტრი გაბუნიას, მამუკა ღვინიაშვილის და პაატა სალიასთან შეხვედრის ფარულ ჩაწერას, რის შემდეგაც იგი შეეცადა კლიენტთან ადვოკატის დისკრედიტაციას. ადვოკატებზე ზეწოლის ფაქტი ადასტურებს, რომ პრემიერ-მინისტრის ეკონომიკურმა მრჩეველმა გია ხუხაშვილმა თავისი თანამდებობა გამოიყენა თავისი საქმიანობისთვის, რაც ამაზრზენი ფაქტია. პრემიერ-მინისტრის ეკონომიკური მრჩევლის ფუნქციაში არ შედის კერძო დავებში მონაწილეობა, — განაცხადა ხატიაშვილმა.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის შეფასებით, ხუხაშვილმა, სავარაუდოდ, მონაწილეობა მიიღო კორუფციულ გარიგებაში და დაარღვია ადვოკატის როლის შესახებ გაერო-ს ძირითადი პრინციპების მე-16 მუხლი.

— მივმართავ მთავარ პროკურორს, ეფექტური გამოძიების ჩატარების მოთხოვნით. მთავარმა პროკურატურამ გია ხუხაშვილს უნდა დაუსვას ერთადერთი კითხვა, შედიოდა თუ არა პრემიერ-მინისტრის ეკონომიკური მრჩევლის ფუნქციებში კერძო დავების გადაწყვეტაში მონაწილეობა და ადვოკატებთან მოლაპარაკებების წარმოება. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ადვოკატ დიმიტრი გაბუნიას მიმართ განხორციელებული ზეწოლის ფაქტზე აუცილებლად მივმართავ ევროპის ადვოკატთა ასოციაციის და სამართლის საბჭოს პრეზიდენტს და ვთხოვ მონიტორინგის განხორციელებას გამოძიების პროცესზე, — აღნიშნა ზაზა ხატიაშვილმა.

რაც შეეხება გია ხუხაშვილს, მან ამ ბრალდების შემდეგ განაცხადა, რომ 2007-2008 წელს, ბადრი პატარკაციშვილის მფლობელობაში არსებული კომპანიებიდან მინდობილობის საფუძველზე ვანო ჩხარტიშვილის წარმომადგენელმა აქტივები თავის კომპანიებზე გადაიტანა და გადარიცხვები განახორციელა.

— რაც ყველაზე წარმოუდგენელია, ბადრის გარდაცვალების შემდეგ ადგილი ჰქონდა ამ მინდობილობით სარგებლობას. თვითონ ვანო ჩხარტიშვილმა მომმართა თხოვნით, რომ სურდა პატარკაციშვილის ოჯახთან მორიგება და იქნებ მომესმინა მხარეებისთვის. მე მოვუსმინე მხარეებს. იქ, იმ შეხვედრაზე დიმა გაბუნიამ დაადასტურა ვალდებულება გარკვეულ თანხაზე, რომ ვანო ჩხარტიშვილს ჰქონდა რაღაც თანხის ვალდებულება ოჯახის მიმართ. ოჯახი თანახმა არ იყო. მათი მოთხოვნა ბევრად დიდი იყო. მე, მხარეებს მხოლოდ მოვუსმინე, არაფერში ჩავრეულვარ და პოზიცია არ გამომიხატავს. ჩანაწერში ეს ჩანს, ზაზა ხატიაშვილს მოვასმენინებ ამ ჩანაწერს და თვითონ გააკეთოს დასკვნები. ვანო ჩხარტიშვილმა როდესაც მომმართა, მე მაშინ პრემიერის მრჩეველი არ ვიყავი და მისი თხოვნით ხდებოდა ეს ყველაფერი, — განაცხადა ხუხაშვილმა.

კითხვაზე, რატომ გააკეთა შეხვედრის ჩანაწერი, ხუხაშვილმა განაცხადა, რომ „ვანო ჩხარტიშვილისგან და იმ ტიპის ადამიანებისგან, როგორიცაა დიმიტრი გაბუნია, პოზიციების ცვლილებას ელოდებოდა“.

მისივე განმარტებით, შეხვედრას 6 ადვოკატი ესწრებოდა და ეს გარჩევა არ ყოფილა.

— მათგან სამი ვანო ჩხარტიშვილის ოფიციალური წარმომადგენელი იყო, სამი - მეორე მხარის. პროტოკოლური ჩანაწერი გაკეთდა, ეს ჩვეულებრივი ამბავია, რომ ოფიციალური შეხვედრების სტენოგრაფირება ხდება. რაც ყველაზე სასაცილოა, ეს ჩანაწერი მე ვანო ჩხარტიშვილის მიერ დაქირავებულ კომპანიას გადავეცი. ვანო ჩხარტიშვილის მომართვის პერიოდში მე ოფიციალური პირი არ ვიყავი. მათ ჰქონდათ განსხვავებული პოზიციები. მე შევთავაზე კომპრომისული ვარიანტი, რაც არც ერთმა მხარემ არ მიიღო და ამის შემდეგ დავამთავრე ამ საქმესთან ურთიერთობა, — განაცხადა ექსპერტმა.

გია ხუხაშვილი ჩანაწერის გასაჯაროების პრობლემასაც ვერ ხედავს. „არანაირი კონფიდენციალურობის ვალდებულება იქ არ ყოფილა, ეს იყო აბსოლუტურად საჯარო შეხვედრა. პრობლემა იმაშია, რომ ვანო ჩხარტიშვილი დღეს ამტკიცებს, რომ არანაირი ვალდებულება ოჯახთან არა აქვს. ამ საუბრიდან კი ჩანს, რომ მისი წარმომადგენლები აღიარებენ ვალდებულებას. ეს ორი პოზიცია დღეს შედის წინააღმდეგობაში, ახლა ეწვით კუდი და ახლა ტეხავენ ამბავს“, — განაცხადა ხუხაშვილმა.

ექსპერტი მზად არის, საჭიროების შემთხვევაში ჩანაწერი გამოძიებასაც გადასცეს.

**ინტერპრესი**

## აღიარება

# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი ევროპის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის წევრად აირჩიეს



**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე, 2013 წლის 8 ნოემბერს ევროპის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის აქტიურ წევრად აირჩიეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. ამ ინფორმაციას ჩვენს პრეზიდენტს ოფიციალური წერილით, ევროპის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის (მდებარეობს ავსტრიის ქალაქ ზალცბურგში) პრეზიდენტი, პროფესორი ფელიქს იუნგერი ატყობინებს.**

აღსანიშნავია, რომ ევროპის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემია, რომელიც ტრანსნაციონალური, ინტერდისციპლინარული დაწესებულებაა, აქტიურად ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს ევროპის აღმშენებლობაში. ამ აკადემიის 1500 წევრს შორის, 29 ნობელის პრემიის ლაურეატია; 1992 წელს აკადემიის წევრებს კარდინალის რანგში, რომის პაპი - ბენედიქტ XVI შეუერთდა. ევროპის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემია კურირებს მეცნიერების ისეთ დარგებს, როგორებიცაა — საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მედიცინა, საზოგადოებრივი მეცნიერებები (იურისპრუდენცია, ეკონომიკა, ტექნიკური მეცნიერებები, გარემოს დაცვა), რელიგია და ხელოვნება.

ევროპის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის პრიორიტეტული პროექტებია — „რეგიონალური ჯანდაცვა“, „რელიგიათშორისი დიალოგი“, „ქარტია ტოლერანტობის შესახებ“, „მანიფესტი მეცნიერებათა თავისუფლების შესახებ“ და „ევროპის მანიფესტი“. გარდა ამისა, ოფიციალურ წერილში, ევროპის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის პრეზიდენტი — პროფესორი ფელიქს იუნგერი იმედოვნებს, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე, ევროპის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის უნივერსიტეტითაც („ალმა-მატერ ევროპეა“) დაინტერესდება.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის გიორგი კვესიტაძის, როგორც ევროპის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის ახალი წევრის, ინაუგურაცია შედგება 2014 წლის 8 მარტს, ქალაქ ზალცბურგში.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური**

## პრესკონფერენციის ექო

# პუტინის „კეთილგანწყობა“

**ვლადიმერ პუტინი საქართველოს ხელისუფლებისა და ქართველი ხალხის მიმართ კეთილგანწყობაზე ალაპარაკდა. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი უშვებს შესაძლებლობას, რომ საქართველოსთან უვიზო რეჟიმი აღადგინოს და ქართველ მეწარმეებს რუსულ ბაზარზე მუშაობის საშუალება მისცეს.**

პუტინმა წლის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე „რუსთავი 2-ის“ ჟურნალისტის კითხვებს უპასუხა და საქართველოს მისამართით რამდენიმე საყურადღებო ფრაზა თქვა.

**„საქართველოს მოქმედი ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება შემეცვალა, ქართველი ხალხის მიმართ კი ყოველთვის მქონდა კეთილგანწყობილი დამოკიდებულება... როდესაც ვამბობ, რომ ქართველი ხალხის მიმართ ყველაზე კეთილი დამოკიდებულება მაქვს, არ ვხუმრობ და არც ირონიით ვამბობ... საქართველოში სიტუციის ისე განვითარება, რასაც ახლა ვხედავთ, ვფიქრობ, მოგვცემს შესაძლებლობას დავაბრუნოთ უვიზო რეჟიმი... ეს დაეხმარება ხალხს ერთმანეთთან ურთიერთობაში, დაეხმარება ქართველ მეწარმეებს რუსულ ბაზარზე მუშაობაში და ჩვენი ურთიერთობების საბოლოო ნორმალიზებას შეუწყობს ხელს“.**

ვლადიმერ პუტინი საქართველოსთან დამოკიდებულებაში ტონს არბილებს. ამბობს, რომ **საქართველოს ახალი ხელისუფლებიდან რუსეთის მისამართით გაგზავნილ სიგნალებს ხედავს და აქცენტს ორ ქვეყანას შორის რელიგიურ და კულტურულ ურთიერთობებზეც აკეთებს.**

რა მიზანს ისახავს პუტინის განცხადებები და ვინ მეტად იხეირებს რუსეთის მიერ საქართველოსთან უვიზო რეჟიმის დაწესებით? — for.ge საგარეო ურთიერთობების საკითხთა ექსპერტებს ესაუბრა.

**„რუსეთმა გაზზე ფასის დაწევით უკრაინის მთავრობის ლოიალობა იყიდა, ახლა კი ცდილობს ახალი მიდგომა გამოიჩინოს საქართველოს მიმართაც - ნაკლები სიხისტე და მეტი მოფერება გამოხატოს“,** — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე.



მისივე განმარტებით, რუსეთის მიერ საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გაუქმება ორი ქვეყნის მოქალაქეებს შორის ურთიერთობას გააიოლებს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხში კი ვერაფერს შეცვლის.

ექსპერტი კახა გოგოლაშვილი კი ფიქრობს, რომ საქართველოსთან ურთიერთობის დათბობა დღეს რუსეთის ინტერესებშია და პუტინის მიზანია, საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი თქვას.

**„რუსეთს რადაც უნდა დაუჯდეს, შეეცდება საქართველომ უარი თქვას ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე. ამიტომ ნელ-ნელა შექმნიან ფონს. შესაძლოა, უვიზო რეჟიმიც აღადგინონ, ვაჭრობის განვითარებასაც ხელი შეუწყონ და დამატებით გაზიც იაფად შემოგვთავაზონ. ვფიქრობ, რუსული პოზიციებიდან ეს ერთადერთი სწორი სტრატეგიააა“,** — აცხადებს For.ge-სთან კახა გოგოლაშვილი და აღნიშნავს, რომ რუსეთი ყველანაირად ეცდება საქართველოს ხელისუფლებისგან შეთავაზებული თანამშრომლობის შანსი სათავისოდ გამოიყენოს.

ექსპერტი მიიჩნევს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით რუსეთი საქართველოსთან დათმობაზე არ წავა და, შესაძლოა, ამ მხრივ, ქართველ საზოგადოებას მხოლოდ გარკვეული ილუზიები შეუქმნას.

საქართველოსთან დაკავშირებით პუტინის განცხადებებს სერიოზულად არ განიხილავს ექსპერტი **ელენე ხოშტარია.** იგი აქცენტს რუსული მხარის ისეთ ქმედებებზე აკეთებს, როგორებიცაა - ჟენევის ფორმატში წარმოებული მოლაპარაკებები და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე სოფლებში მავთულხლართების გაბმა.

**„პუტინის სიტყვები, რომ შეცვალა საქართველოს ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულება, არანაირად არ მყარდება ქმედებებით. პირადი ანგარიშსწორება და ცინიზმის აქტია, როდესაც ჟენევის მოლაპარაკებებზე აგზავნი ნიჩაევს. ცინიზმია საქართველოს მიმართ შეცვლილ დამოკიდებულებაზე საუბარი იმ პირობებში, როდესაც ჩვენს ტერიტორიაზე დღემდე ებმება მავთულხლართები“,** — განუცხადა ელენე ხოშტარიამ for.ge-ს.

ხოშტარია ფიქრობს, რომ პუტინი ქართველ საზოგადოებაზე გავლენის მოხდენას ცდილობს და ვიზების საკითხზეც ამ კონტექსტში საუბრობს, რეალურად კი საქართველოსთვის ახალი მახის დაგება სურს.

რუსეთის პრეზიდენტის განცხადებების შეფასებაზე ამ ეტაპზე თავს იკავებს საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი საგარეო ურთიერთობათა საკითხებში ვანო მაჭავარიანი. For.ge-სთან საუბრისას მან აღნიშნა, რომ სავიზო რეჟიმთან დაკავშირებით ვლადიმიერ პუტინის განცხადება ინტერვიუში გამოთქმული აზრია და არა ოფიციალური განცხადება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა კი საკუთარ განცხადებაში საქართველოსთან ურთიერთობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით რუსეთის პრეზიდენტის მზაობა დადებითად შეაფასა. ღარიბაშვილის განცხადებით, საქართველოში მუდმივად იყო და არის რუსი ხალხის მიმართ კეთილგანწყობა.

„რაც შეეხება უახლესი ისტორიის ტრაგიკულ მოვლენებს, მათ მიზეზებსა და შედეგებზე რუსეთისგან განსხვავებული პოზიციები გვაქვს. მოგეხსენებათ, რომ კერძოდ, 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ ვრცელი და კომპეტენტური დასკვნა გაკეთდა ევროკავშირის ეგიდით შექმნილი ე.წ. „ტალიავინის კომისიის“ მიერ,“ — აღნიშნულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებაში.

ირაკლი ღარიბაშვილი მიიჩნევს, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში ბოლოდროინდელი წინგადადგმული ნაბიჯები გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველს ქმნის.

**მადლენა მაჭარაშვილი**

## ინფორმაცია

### გამოკითხვებით ივანიშვილი, მარგველაშვილი, ალასანია და ღარიბაშვილი ლიდერობენ

**NDI-ის კვლევის მიხედვით, კითხვაზე - მოგწონთ, თუ არა?- გამოკითხულთა 74% აცხადებს, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მოსწონს, ხოლო 11%-ს პროცენტს არ მოსწონს.**

**თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია გამოკითხულთა 72%-ს მოსწონს, 10%-ს არ მოსწონს; პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი 72%-ს მოსწონს; 9 პროცენტს არ მოსწონს; პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი გამოკითხულთა 56%-ს მოსწონს, 21%-ს არ მოსწონს.**

**როგორც NDI-ის ოფისის ხელმძღვანელმა საქართველოში ლუის ნავარომ აღნიშნა, გიორგი მარგველაშვილის მოწონების მაჩვენებელი წინა კვლევასთან შედარებით გაიზარდა. ასევე 5 პროცენტით გაიზარდა დავით უსუფაშვილის მოწონების მაჩვენებელი და 65 პროცენტს შეადგენს.**

**ორგანიზაციამ საზოგადოებრივი აზრის კვლევა თემაზე „საზოგადოების განწყობა საქართველოში“ 13-დან 27 ნოემბრის პერიოდში ჩაატარა. საქართველოს მასშტაბით 3,915 რესპონდენტი წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე გამოიკითხა...**

**ინტერპრესი**

მოულოდნელი რაკურსი

# „ეროვნული სამედიცინო ცენტრის შექმნამ გაცილებით დიდი ეფექტი იქონია ქუთაისზე, ვიდრე პარლამენტმა“

**როგორ ჩაახშო სადაზღვევო რეფორმამ სამედიცინო ბიზნესი, რატომ გახდა ნაციონალური პოლიტიკური ძალის დოქტრინა ექიმთა საზოგადოების მტრად გადაკიდება, რატომ დაიწყო მათზე გავეშებული დაპირისპირება? — ამ და სხვა საინტერესო თემებზე გვესაუბრება ახალგაზრდა ექიმი კახა ნურალიძე. ის გახლავთ კლინიკა „დეკას“ სამედიცინო დოქტორი, დასავლეთ საქართველოს ეროვნული სამედიცინო ცენტრის დამაარსებელი.**



— მერე რა მოხდა არ ვიცი, მაგრამ სამედიცინო სექტორის შენება 2003 წლიდან ძალიან კარგად დავიწყეთ. მე უცხოეთში ვმოღვაწეობდი, როდესაც საქართველოში მომიწვიეს და მითხრეს, ისეთივე ცენტრი უნდა შექმნა, როგორიც არის ვთქვათ, ჰუმბოლტის საუნივერსიტეტო კლინიკაო. პირველი, მოვითხოვე სრული პოლიტიკური მხარდაჭერა (და ასე აღმოვჩნდი პოლიტიკაში) და მეორე, ფინანსური უზრუნველყოფა. ზუსტად წელიწადში დასრულდა დასავლეთ საქართველოს ეროვნული სამედიცინო ცენტრის მშენებლობა და იგი იმთავითვე გადაიქცა არათუ საქართველოს, არამედ მთელი პოსტსაბჭოთა სივრცის ერთ-ერთ უძლიერეს კლინიკად. ისიც სწორი გადაწყვეტილება იყო, რომ ის გაკეთდა ქუთაისში და არა თბილისში.

**— როგორც ვიცით, ინტერვენციული ეროვნული ცენტრი საკმაოდ მომგებიანი ორგანიზაცია გახდა ფინანსური თვალსაზრისითაც.**

— ცენტრმა ყველანაირად დადებითი კვალი დაატყო ქალაქს. მივიღეთ რეალური ხელმისაწვდომობა ყველა პაციენტისთვის. დავნერგეთ 28 ახალი მიმართულება, ჩავატარეთ უნიკალური ოპერაციები, პირველად ცენტრი გავიდა საერთაშორისო ბაზარზე, მოვიგეთ ტენდერი და განვავითარეთ სამედიცინო ტურიზმი, მათ შორის ბევრი უცხოელი პოლიტიკოსი იყო ჩამოსული ჩვენთან სამკურნალოდ. შეიკრიბა ექიმთა საუკეთესო შემადგენლობა, აღარაფერს ვამბობ ულტრა-თანამედროვე აპარატურაზე. შევქმენით მედდების სკოლა, რითაც ძალიან ვამაყობ. ამას ემატება გასვლითი გამოკვლევები, ოპერაციები კონფლიქტის ზონებში, უზრუნველვყავით სამედიცინო სერვისი აჟარაში... მეტიც, ვგეგმავდით ზესტაფონსა და სამტრედიაში ორი მოდერნიზებული კლინიკის აშენებას „ჯორჯიან ქონექტის“ მეშვეობით. ეს არის აშშ-ის გადამდგარი კონგრესმენების მიერ დაფუძნებული ორგანიზაცია. დამტკიცებული იყო პროექტი, გამოიყო თანხა 16 მილიონის ოდენობით. უცხოელებს ერთადერთი მოთხოვნა ჰქონდათ, ორივე საავადმყოფო უნდა დარჩენილიყო სახელმწიფო საკუთრებაში. შეხვდნენ ბენდუქიძეს, რომელმაც ამაზე უარი განაცხადა. ბუნებრივია, ძალიან გაუკვირდათ ჩვენს კოლეგებს, მაგრამ... ასე დამთავრდა ეს ამბავი.

**— უარის მიზეზი რა იყო, რეალურად?**

— არ იყო მისაღები იმდროინდელი პოლიტიკური წრისთვის. მათ სხვა გეგმები ამოძრავებდათ.

**— კერძო სადაზღვევო კომპანიების ბაზარზე შემოყვანა?**

— დიახ, ეს იყო ძალიან მარტივი, სახელმწიფო თანხების დატაცების იდეალური სქემა. დაიწყო გაუგონარი კანონდარღვევები, მიმართული ხალხის ინტერესების წინააღმდეგ. მოიშალა სახელმწიფო ინსტიტუტები, გაახსვისეს ძლიერი სახელმწიფო კლინიკები, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სამედიცინო ობიექტები, მათ შორის ქუთაისის ეროვნული სამედიცინო ცენტრი. ასევე გააუქმეს კარდიო ქირურგიის პროგრამა, უნდოდათ ჰემოდიალიზის გაუქმებაც, ბავშვების დაზღვევა დატოვეს 0-და 3-წლამდე და ა. შ. ამ ყველაფერმა ასახვა ჰპოვა სტატისტიკაში.

მაგრამ, ვერ გაითვალისწინეს ერთი რამ, სანამ სახელმწიფო არსებობს, სახელმწიფო თანხებს მომკითხავი ყოველთვის ეყოლება.

**— რა იყო სადაზღვევო სისტმის არსი?**

— საქართველოში მივიღეთ ანტილიბერალური, საზღვრებჩაკეტილი სადაზღვევო სისტემა, და ამ დროს კი უსინდისოდ გვიმტკიცებდნენ, რომ ეს არის კარგი, რომ ამას პროგრესი ჰქვიაო. მიდიოდა ექიმების დეგრადირების პროცესი. არ შეიძლებოდა კლინიკის მთავარი ექიმი, ან დირექტორი ყოფილიყო ექიმი. ის უნდა იყოს მენეჯერიო. ამ დროს კი დაივიწყეს მენეჯმენტის მთავარი პრინციპი: ის, რომ ჯანდაცვის სფერო არ არის ბიზნესი, ის თავისი არსით ქველმოქმედებაზე არის ორიენტირებული. ჯანდაცვის მიზანი ის გახლავთ, რომ ქვეყანას წლების განმავლობაში ჰყავდეს ჯანმრთელი, მრავალრიცხოვანი ადამიანური რესურსი, რათა სახელმწიფომ შეძლოს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება.

კერძო სადაზღვევო სექტორმა კი რა ქნა? მათ ჰქონდათ სახელმწიფოდან გამოყოფილი ბიუჯეტი ანუ ფისქირებული ფინანსური წყარო. ამიტომ რაც ნაკლებს დახარჯავდნენ, მოგება მეტი დარჩებოდათ. დაიწყეს კანონით მანიპულირება: ის გეკუთვნის, ეს არ გეკუთვნისო. თურმე სისხლდენა მწვავე დაავადება აღარ ყოფილა. და ჩამოყალიბდა იშვიათი თაღლითური ჯგუფი. ეს ყველაფერი მხოლოდ პაციენტზე კი არ აისახებოდა, არამედ ძლიერი ექიმებიც არ აძლევდათ ხელს. რას აკეთებს ძლიერი ქირურგი? ის ატარებს დიდ ოპერაციებს, რომელსაც სჭირდება მეტი ხარჯი და მეტი ხელფასიც. დაიწყეს მოფიქრება იმისა, თუ როგორ ეთქვათ ზრდილობიანი უარი ჩვენსავე მოქალაქეებისთვის. გამოდიდა, რომ მოქალაქის სიკვდილი სადაზღვევო კომპანიას ზარალს უმცირებდა...

**— როგორც ზემოთ აღნიშნეთ, სადაზღვევო კომპანიის შემოსვლამ ქუთაისის ეროვნულ ცენტრში არასასურველი ასახვა ჰპოვა...**

— სხვა რომ არაფერი, საუკეთესო კადრები თბილისში გადავიდნენ. მე საერთოდ არ მესმის, რატომ გაყიდა ეს კლინიკა სახელმწიფომ, როდესაც მან თავად ჩადო მასში 26 მილიონი ლარის ინვესტიცია. შემდგომი 5 წლის განმავლობაში ცენტრი განვითარდა და 6 მილიონის რეინვესტიცია გააკეთა. შეიძლება ასეთი ობიექტი ვიღაცას 100 ათას ლარად აჩუქო? ზოგადად, გასხვისების იდეა ის არის, რომ მყიდველმა ინვესტიცია ჩადოს. არადა 2010 წლის ბოლოს მენეჯმენტში შესულმა ინვესტორმა მხოლოდ ის მოახერხა, რომ კლინიკა 2-ჯერ ჩადო ბანკში, მფლობელი კომპანია „ჩემი ოჯახის კლინიკა“ — 4-ჯერ. გამოტანილია ბანკებიდან უზარმაზარი თანხები, რომელიც ბევრად აღემატება ეროვნული ცენტრის თვითღირებულებას. სად წავიდა ფული, არავინ იცის.

**— საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა შეძლებს კი წლობით დაგროვილი პრობლემების მოგვარებას?**

— კიდევ კარგი, დროულად დაიწყო კერძო სადაზღვევო სექტორის დემონტაჟი, თორემ ასე რომ გაგრძელებულიყო 2035-2050 წლებისთვის მხოლოდ 2-მილიონი თუ დარჩებოდა ქართულენოვანი მოსახლეობა. საყოველთაო დაზღვევის პროგრამა, დარწმუნებული ვარ, გაამართლებს. რა თქმა უნდა, ერთბაშად არ მოხდება, მაგრამ ხალხი იგრძნობს ამ სიკეთეებს. კერძო სადაზღვევო კომპანიები კი ეწევიან მიზანმიმართულ დემაგოგიას, სახელმწიფო ებრძვის კერძო სექტორსო. რაც მე ზემოთ მოვყევი, ეს არის სადაზღვევო სისტემა?

**— შეიძლება თუ არა კერძო სადაზღვევო სექტორის გადარჩენა?**

— თუკი დროზე მოვლენ გონს და მოახდენენ რეალობასთან ადაპტირებას, გადარჩენის პერსპექტივა უდავოდ აქვთ. აი, მაგალითად „ჯეო-ჰოსპიტალსი“ ქმნის ქუთაისის ცენტრალურ საავამდყოფოს, რომელიც იანვრიდან შევა ექსპლოატაციაში და მიიღებს პაციენტებს. ესეც იმის დასტურია, რომ საყოველთაო სადაზღვევო ჯანდაცვა მოქმედებს და ღირს კონკურენციაში ჩაბმა.

**— ბატონო კახა, თქვენ ბრძანდებით ქუთაისის საკრებულოს წევრი. რა ხდება იქ, რა პერმანენტული გადაჯგუფებები მიმდინარეობს?**

— 8 წელიწადია საკრებულოს წევრი ვარ. თავიდან ნაციონალური მოძრაობიდან ამირჩიეს, თუმცა პოლიტიკაში შეგნებულად არ ვერეოდი. ჩემი საქმის საკეთებლად ვიყენებდი მათ მხარდაჭერას და ქვეყანას ვახმარდი. როცა მმართველობის მე-2 ნახევარში დაიწყეს სამედიცინო სფეროს მიზანმიმართული განადგურება, 2010 წელს გავემიჯნე და ყველანაირი ურთიერთობა გავწყვიტე მათთან. 2011 წელს დავაფუძნეთ ფრაქცია „ქართული ოცნება“.

ქუთაისი „რთული“ ქალაქია, ყოველთვის ხასიათდებოდა განსაკუთრებული პოლიტიკური ცხოვრებით. პერიოდულად რომელიმე ჯგუფი ფარულად მართავდა ხოლმე ქალაქს, ულტიმატუმის ენით ესაუბრებოდნენ მერს თუ გუბერნატორს, ან პირიქით. სწორედ ეს იყო მერების ხშირი ცვლის მიზეზი და ქუთაისის მერობა ლამის სასირცხვილო თანამდებობა გახდა. ახლანდელი მერი უდავოდ კარგი კადრია და იმედია, დიდხანს შეინარჩუნებს ამ თანამდებობას...

**— დაბოლოს, უნდა გკითხოთ პარლამენტზეც. როგორ აისახა მისი ქუთაისში არსებობა ქუთაისელებზე, ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე?**

— მე ვარ ქუთათური და ჩემი ქალაქის პატრიოტი. თუკი ქუთაისი არის და იქნება საპარლამენტო დედაქალაქი, ეს არის კარგი. როგორ შეიძლება ამას ვინმე შეეწინააღმდეგოს... მაგრამ, ამ დროს მე არ ვიცი, რა უჯდება ეს ქვეყნის ბიუჯეტს, რამდენად იხეირებს ამით ქვეყანა? პარლამენტის არსებობა გარკვეულწილად აისახა ქუთაისზე: ვთქვათ გაძვირდა ბინები, ქირა... მაგრამ საქმე ისაა, რომ საკანონმდებლო ორგანო პროდუქციას არ ქმნის. მეტიც, მაგალითად, ქუთაისში ეროვნული სამედიცინო ცენტრის შექმნამ გაცილებით დიდი ეფექტი იქონია ქალაქზე, ვიდრე პარლამენტმა. გაკეთდა ინფრასტრუქტურა, გზები, შეიქმნა 600-მდე სამუშაო ადგილი. შევქმენით კონკურენტუნარიანი გარემო, რადგან სხვა საავადმყფოებს განვითარების მოტივაცია მიეცათ და დღეს ქალაქში არის ბრწყინვალე საავადმყოფოთა კასკადი.

2006 წელს ეროვნული ცენტრის ბიუჯეტი გაუტოლდა ქუთაისის ბიუჯეტს. ამ ყველაფერს კიდევ უფრო მეტი განვითარება უნდა ეპოვა, მაგრამ სადაზღვევო რეფორმამ ჩაახშო. სამედიცინო ბიზნესი კი არ ჩერდება. ის გავს ორბორბლიან ველოსიპედს, რომელიც როცა გაჩერდება, წაიქცევა... ქუთაისში ის არ უნდა მოესპოთ, რაც მართლა ვითარდებოდა და წინ მიდიოდა, თორემ პარლამენტმა ვერავითარი ბიზნესმოძრაობები ვერ გამოიწვია... ეს ფაქტია.

ამიტომ, სამწუხაროდ, დღესაც ვერ აცნობიერებენ პოლიტიკოსები კერძო სადაზღვევო სისტემამ სინამდვილეში როგორ ავნო სამედიცინო სექტორს.

**— გმადლობთ!**

ესაუბრა
**თეა მოსია**

ალიან-ჩალიანი

# ნატოსა და ევროკავშირისკენ ჯერჯერობით წარმატებულად მივდივართ

**ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი საზოგადოებას ევროკავშირისა და ნატოს მიმართულებით დაფიქსირებულ პროგრესს ულოცავს.**

**როგორც ალექსი პეტრიაშვილმა „ღია მმართველობის“ ფარგლებში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, საზოგადოებას ულოცავს საქართველოსთვის ისტორიული შეთანხმების, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების პარაფირებას.**

**— ეს არის ისტორიული პროცესის დასაწყისი, რომელიც მიგვიყვანს სანუკვარ მიზნამდე, ევროკავშირში გაწევრიანებამდე. ეს არის გრძელი, რთული, შრომატევადი, რისკების და გამოწვევების შემცველი პროცესი, მაგრამ ეს არის ოცნება ჩვენი დიდი წინაპრების, ნება საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის და ჩვენ, ხელისუფლება, ვალდებული ვართ, ეს ნება ავასრულოთ ჩვენს ხელთ არსებული საშუალებებით, რაც გულისხმობს რეფორმებს, ქვეყნის მოდერნიზაციას და იმ ფასეულოებების და ღირებულებების ერთგულებას, რომელიც არის საერთო დემოკრატიული სამყაროსთვის, — განაცხადა ალექსი პეტრიაშვილმა.**

**სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, მას ასევე სურს მოსახლეობას მიულოცოს ნატოს მიმართულებით დაფიქსირებული ძალიან მნიშვნელოვანი პროგრესი.**

**— წელს, ყოველწლიური ეროვნული პროგრამის მეხუთე ციკლი დასრულდა და შემდეგ გაკეთდა შეფასება. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი წლევანდელ ყოველწლიურ ეროვნულ პროგრამას აფასებს, როგორც საუკეთესოს ყველა გასულ პროგრამებს შორის. არც ერთ შემთხვევაში არ მინდა დავაკნინო წინა წლებში შესრულებული სამუშაოები და სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ იგივე ხალხი მუშაობდა, მუშაობს და გააგრძელებს მუშაობას თავაუღებლად იმისათვის, რომ მომავალ წელს კიდევ უკეთესი ეროვნული პროგრამა იყოს და კიდევ უფრო მივუახლოვდეთ ნატოში გაწევრიანებას, — განაცხადა პეტრიაშვილმა. პეტრიაშვილმა აღნიშნა, რომ ამ პროცესებში მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა.**



**მისივე თქმით, გასულ წელს მარტო ევროკავშირისგან საქართველომ რეფორმების განსახორციელებლად 100 მილიონ ევროზე მეტი დახმარება მიიღო და ეს მოხმარდება კონკრეტული რეფორმების განხორციელებას. — ამასთან, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მომავალი წლის არაუგვიანეს სექტებრისა, მოხდება ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერა და რამდენიმე თვეში მისი უდიდესი ნაწილი ძალაში შევა, — განაცხადა ალექსი პეტრიაშვილმა.**

ინტერპრესი

# აი, სად უჭირს საქართველოს



**მეოცე საუკუნის დასასრულს, საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მთელი სიმძაფრით დადგა მთიანი რეგიონების განვითარების საკითხი. ეს კი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ პრობლემებთან. წლების განმავლობაში, სამეცნიერო ლიტერატურასა თუ პრესაში, ბევრი იწერებოდა ბართან შედარებით მთიანი რეგიონების ჩამორჩენილობაზე. ამას ბევრი მიზეზი ჰქონდა; განსაკუთრებით კი ის არასწორი პოლიტიკა, რომელიც ტარდებოდა მთასა და მთის მოსახლეობის მიმართ. ყველა სოციალური, ეკონომიკური თუ ეკოლოგიური საკითხი წყდებოდა საერთო სახალხო პროგრამით, სადაც მთის სპეციფიკა გათვალისწინებული არ იყო, ყოველივეს ემატებოდა სტიქიური მოვლენებით მიყენებული ზარალი, მთიან რეგიონებში ცხოვრება გაუსაძლისი გახდა, გამწვავდა დემოგრაფიული ვითარება.**

ამ მდგომარეობის გამოსწორებისა და მთიანეთის ალმავლობისთვის საჭირო შეიქმნა, კანონისმიერი პირობების შექმნა, რაც ითავა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისიამ.

რას მოიცავს მთის კანონი, ან რა შეღავათებს მოუტანს ის მთის მოსახლეობას, აი კითხვები, რომლებიც ხშირად გაისმის და ჩვენს მოსახლეობაში გაისმოდა იმიტომ, რომ სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო, საქართველოს საინფორმაციო სამსახურმა არ იზრუნა ამ კანონის ყველა პუნქტისა და ქვეპუნქტის საჯარო განხილვაზე, რათა ის ფართო საზოგადოების მსჯელობის საგანი გამხდარიყო.

მეცნიერების ინტერესი მთისადმი მიპყრობილი იყო არა მარტო იმიტომ, რომ მთა ჩვენი ქვეყნის ულამაზესი და უმშვენიერესი მხარეა, არამედ ძირითადად იმიტომ, რომ მთა არის უზარმაზარი წყლის მარაგის შემცველი (მყინვარების სახით), აქ არის „თეთრი ნახშირის" (წყლის ენერგიის მნიშვნელოვანი რაოდენობა), თვალუწვდენელი სათიბ-საძოვრები, არაჩვეულებრივი ტყის მასივები, ეკოლოგიურად სუფთა საკვები პროდუქტები, მადნეული და არამადნეული საბადოები, მინერალური წყლები, ყველა პირობა ტურიზმისა და რეკრეაციული მეურნეობის განვითარებისათვის, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც ადამიანს სიცოცხლისათვის სჭირდება. ამავდროულად, საქართველოს მთიანეთი ყოველთვის იყო მფარველი და დამცველი ჩვენი ქვეყნისა — მისი საზღვრებისა, რადგან საქართველოს მთიანი რეგიონები საზღვრისპირა რაიონებია. და აი, 1999 წელს შეიქმნა „მთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების კანონი, რომელიც პარლამენტმა მიიღო და პრეზიდენტმა დაამტკიცა იმავე წლის 19 ივნისს. მისი ავტორები ვიყავით მე და აკადემიკოსი თენგიზ ონიანი. თენგიზ ონიანმა, მაშინდელი პარლამენტის წევრმა, გაიტანა ეს კანონი დასამტკიცებლად პარლამენტის სხდომაზე. მანამდე კი ის განიხილა მეცნიერებათა აკადემიის მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისიამ. კომისია წარმოადგენდა კომპეტენტურ ორგანოს მთის პრობლემებთან დაკავშირებით. ის დაარსებიდან (1969), 30 წლის განმავლობაში აგროვებდა მასალებს მთის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურული მდგომარეობის შესახებ. ადგენდა სხვადასხვა სახის პროექტებს, რომლებიც მიეწოდებოდა საქართველოს მთავრობას, მაგრამ ხშირად ის უწყებრივ ინტერესებს აწყდებოდა და მეცნიერთა თუ სპეციალისტთა ნააზრევი ქაღალდზევე რჩებოდა. აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად და კიდევ იმიტომ, რომ სააშკარაოზე გამოსულიყო მთის მოსახლეობის მძიმე მდგომარეობა, მათი ცხოვრება, რომელიც საქართველოს სხვა მხარეთა ცხოვრებისგან განსხვავდებოდა და დაწყებულიყო მთის აღორძინება, შეიქმნა „მთის კანონი". მიღებული კანონის მიზანი იყო მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა, მოსახლეობის სტიქიური მიგრაციის შეჩერება, დაცლილი და ნახევრად დაცლილი სოფლებისა და თემების აღორძინება, ადგილობრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, მრეწველობის განვითარება, მოსახლეობის დასაქმება, ინვესტიციების მოზიდვა, თვითმყოფადი ლანდშაფტებისა და ეკოსისტემების შენარჩუნება და მათი მავნე ზემოქმედებისაგან დაცვა, გზების მშენებლობის მოწესრიგება, წიაღისეულის რაციონალური სარგებლობა, საწარმოო ობიექტების დაპროექტება და მშენებლობა, საზღვრის დაცვა, და, რაც მთავარია, მთის მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

**კანონმა დასახა: შეღავათიანი — საკრედიტო ღონისძიებანი, სამთო ტურიზმის განვითარების პერსპექტივები, ტრადიციული შინა რეწვის განვითარება, მცირე და საშუალო ბიზნესის და მრეწველობის განვითარება, ელექტროენერგიით მოსახლეობის უზრუნველყოფა მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურების მშენებლობით. სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება, სხვადასხვა საგადასახადო შეღავათები, სკოლამდელი, საბაზო და საშუალო ზოგადი განათლების ხელშეწყობა, ხელფასზე დანამატის (მუშაობის სტაჟის და მაღალმთიანობის) შემოღება, მრავალშვილიანების ეკონომიკური სტიმულირება, უფასო ჯანმრთელობის დაცვა, მცირე საწარმოთა 5-10 წლით განთავისუფლება ყოველგვარი გადასახადიდან. საზღვრის მიმდებარე სოფლების მოსახლეობისათვის მესაზღვრის ფუნქციის მინიჭება და სხვა.**

მიღებული კანონი, იმის გამო, რომ ის თავისი შინაარსით ასახავდა სახელმწიფოს პროტექციონისტულ პოლიტიკას მთიანი რეგიონების მიმართ, ზოგიერთ მუხლში განსხვავდებოდა უკვე მიღებული კოდექსების და სხვა ორგანული კანონებისგან.

სამწუხაროდ, კანონი კი მიიღეს, მაგრამ ძალაში ვერ შევიდა. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. პირველი ის გახლდათ, რომ კანონი ეხებოდა მაღალმთიან რეგიონებს, რომლებიც გეოგრაფიული მდებარეობით, ბუნებრივი და კლიმატური პირობებით მთლიანად შეესაბამებოდნენ მაღალმთიანობას. დადგენილი პარამეტრებით ის უნდა ამოქმედებულიყო 1500 მეტრს ზევით. იშვიათ გამონაკლის შემთხვევაში კი — 1000 მეტრს ზევით. კანონი ვრცელდებოდა მთლიანად სვანეთზე, რაჭაზე, ხევსურეთზე, ხევზე, თუშეთზე, მთიულეთ-გუდამაყარზე, აფხაზეთის, რაჭის მაღალმთიან ზოლზე, რომლებიც დემოგრაფიული რეაბილიტაციის მწვავე ზონებად ითვლებოდა. კანონის მიღება დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც იწყებოდა ახალი პარლამენტის არჩევნები და იმდროინდელმა დეპუტატებმა ამომრჩეველთა ხმების მოპოვების მიზნით კანონში თავისი რაიონებიდან ის სოფლებიც კი შეიყვანეს, რომლებიც ზღვის დონიდან 400-600 მეტრზე მდებარეობდნენ, რამაც კანონი დაარღვია და დაამახინჯა, ფინანსურად შეუძლებელი გახდა მისი ამოქმედება. და მეორეც, საქართველოს იმდროინდელმა სუსტმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ შემდგომშიც მრავალი წელი გასტანა. ჩვენ შეკითხვაზე კანონის ამოქმედების შესახებ, მუდმივად გაურკვეველი პასუხი იყო, ყოველივე ეკონომიკურ სიდუხჭირეს ბრალდებოდა. კანონი პარლამენტს არ გაუუქმებია და დღესაც ასეა, მაგრამ არ მუშაობს, აი, გავიდა 14 წელი და მთის მოსახლეობა, რომელიც დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ამ კანონს და ეკონომიკური აღორძინების იმედი ჩაესახა, იმედგაცრუებული დარჩა.

**ბრძოლა კანონის ამოქმედებისათვის მის შემქმნელებს არ შეუწყვეტიათ, 2010 წ. მათ შეიმუშავეს კანონპროექტი „დამატებები და ცვლილებები მთიანი რეგიონების ეკონომიკურ-სოციალურ და კულტურული განვითარების კანონში", რომელიც, ფაქტობრივად, წარმოადგენდა განახლებულ კანონს. ეს კანონპროექტი წარედგინა პარლამენტის „რეგიონალური განვითარებისა და მთის კომიტეტს", რათა მუხლობრივად განეხილათ, მაგრამ, სამწუხაროდ არავითარი რეაქცია ჩვენს ყოველწლიურ შეხსენებებსა და თხოვნას არ მოჰყოლია.**

ბრძოლა კანონის ამოქმედებისათვის მის შემქმნელებს არ შეუწყვეტიათ, 2010 წ. მათ შეიმუშავეს კანონპროექტი „დამატებები და ცვლილებები მთიანი რეგიონების ეკონომიკურ-სოციალურ და კულტურული განვითარების კანონში", რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენდა განახლებულ კანონს. ეს კანონპროექტი წარედგინა პარლამენტის „რეგიონალური განვითარებისა და მთის კომიტეტს", რათა მუხლობრივად განეხილათ, მაგრამ, სამწუხაროდ არავითარი რეაქცია ჩვენს ყოველწლიურ შეხსენებებსა და თხოვნას არ მოჰყოლია.

2012 წლის 2 ოქტომბერს საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა, მოვიდა ახალი მთავრობა, ქვეყანა დაადგა დემოკრატიული განვითარების გზას და მთის მოსახლეობას კვლავ გაუჩნდა იმედი, რომ მათი ოცნება აღსრულდებოდა — ამუშავდებოდა „მთის კანონი". მეცნიერებათა აკადემიამ მიმართა პარლამენტის მთიანეთისა და რეგიონალური მმართველობის კომიტეტს. 2010 წელს მიღებული კანონპროექტი გამოქვეყნდა აკადემიის მიერ გამოცემულ კრებულში „საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პრობლემები და მათი მოგვარების გზები ". საქმე თითქოს დაიძრა, მაგრამ პრობლემის მოგვარება ჯერ კიდევ არ ჩანს. ჩვენ ვიცით, რომ ახალ მთავრობას მემკვიდრეობით მრავალი მოუგვარებელი პრობლემა დახვდა, რომელთა ერთ წელიწადში მოგვარება ვერ მოხერხდებოდა, მაგრამ საქართველოს მთიანეთი ხომ დღეს ყველაზე მძიმე მდგომარეობაში იმყოფება! მაშინ, როცა ევროპასა და ამერიკაში მაღალმთიანი რეგიონების კიდევ უფრო განვითარებაზე საუბრობენ, ჩვენ მთის გადარჩენაზე ვლაპარაკობთ.

ისტორიულად ჩვენი მთიანეთი შეუღწეველი იყო როგორც გარეშე მტრისათვის, ასევე ფეოდალური მმართველობისათვის. მიუხედავად ფეოდალების მრავალი ცდისა, საქართველოს მთიანეთის მოსახლეობამ ბატონყმობის უღელი ვერაფრით ვერ იგუა და თითქმის მეოცე საუკუნემდე შეინარჩუნა ცხოვრების თავისუფალი თემობრივი წესი. შრომისმოყვარე, გამძლე, ვაჟკაცი მთიელები მუდამ იყვნენ თავისუფლების მოყვარულნი. ისინი გმირულად იცავდნენ დამოუკიდებლობას და დედაადგილს, მთაში ოდითგანვე არსებობდა თემის ინსტიტუტი, რომელსაც ხევისბერი ხელმძღვანელობდა. ხევსურეთში მას ხუცს უწოდებდნენ, თუშეთში — დეკანოზს, სვანეთში — მახვშს. ხევისბერი არ იყო მარტო ღვთის წესების აღმასრულებელი, მას ხელში ეჭირა პოლიტიკური და იურიდიული უფლებები. იგი იყო მშვიდობიანობის დროს მსაჯული და ომის დროს — ჯარის წინამძღოლი.

მთაში ცხოვრების თემობრივ წესს კანონმდებლობაც თავისი ჰქონდა. ასეთი იყო მიგრაციის შეზღუდვის მექანიზმი, ხატ-სალოცავებისადმი რიდი. ქურდისა და თემის შემარცხვენლის თემიდან მოკვეთა. მთიელი კაცი მარტო მეფეს სცნობდა, მას ემორჩილებოდა და მზად იყო მეფისა და მამულისათვის თავი გაეწირა. ისტორიულად ჩვენი მთა მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, მრავლდებოდა მოსახლეობა, მაგრამ შემდგომში მთა უკვე ველარ არჩენდა ბუნებრივ ნამატს და ხდება ეგრეთ წოდებული ბუნებრივი მიგრაცია. მაგრამ ამან მთის გაჩანაგება ვერ გამოიწვია. მთიელი ერთგული იყო თავისი მამა-პაპის ადგილისა „პატიოსანი გარემოსი, ტრადიციისა და ადათ-წესებისა". მიუხედავად გაუსაძლისი პირობებისა, მთიელი კაცი ვერაფრით ვერ გატეხა ვერც უგზოობამ, ვერც სიდუხჭირემ და ის მამაპაპეული მიწის ერთგული დამცველი დარჩა, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულიდან დაიწყო მთისა და მისი მოსახლეობის დეგრადაცია და დღეს შეგვრჩა, ეკონომიკურად, ეკოლოგიურად, სოციალურად გაჭირვებული და მოსახლეობისაგან თითქმის დაცლილი ულამაზესი მხარე საქართველოსი.

აი, ამიტომ იღვწოდნენ მეცნიერები, მთის მოყვარულები და პატრიოტი მამულიშვილები მთიანი რეგიონების გადასარჩენად, ამიტომ შეიქმნა მთის კანონი 1999 წელს და დამატებანი და ცვლილებები ამ კანონში 2010წ. ამ წლების განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა, წავიდა შევარდნაძის მთავრობა, 9 წელიწადს საქართველოს მართავდა მიხეილ სააკაშვილი, ხოლო 2013წ. 17 ნოემბერს ავირჩიეთ ახალი პრეზიდენტი და ახალი მთავრობა, გაჩნდა იმედი, რომ ეშველება საქართველოს გაჭირვებაში მყოფ კუთხეებს. ასეთთა შორის ყველაზე მისახედი დღეს მთიულეთია, რადგან ეკონომიკური პირობების, სტიქიური მოვლენების, მძიმე კლიმატური პირობების, მწირი, მცირე სასოფლო-სამეურნეო მიწიანობის და მძიმე შრომის გამო იცლება მოსახლეობისაგან. დაცლილ ტერიტორიებს კი მეზობელი უცხო ტომები ეპატრონებიან. იკარგება წინაპართა სისხლით მორწყული მიწები, სამხრეთისკენ იწევა სახელმწიფო საზღვრები, ეს კი კატასტროფაა.

ვფიქრობ, ცოტა უცნაური მოვლენები დაიწყო მთის კანონებთან დაკავშირებით, მცდელობაა გააუქმონ მიღებული კანონი და შეცვალონ ის საფრანგეთის მთის კანონთან, ანუ ევროპულ კანონთან შესაბამისობაში. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ უცხო ქვეყნების, რა გინდა მოწინავენი და ეკონომიკურად ძლიერნი არ იყვნენ, მიღებული კანონების მექანიკური გადმოტანა საქართველოში ყოვლად უსარგებლო იქნება. ჯერ ერთი, საფრანგეთის მთიანი მხარე შედარებით ჩვენ მთიანეთთან უფრო განვითარებულია, კანტონებს და მოსახლეობას ეხმარებიან მოსავლის ზრდის ამაღლებისათვის და უკვე არსებული სამრეწველო ობიექტების უკეთესი მუშაობისათვის. გამოიყოფა საკმაოდ დიდი თანხები.

ჩვენი მთიანეთი განვითარებით ბევრად დაბალ დონეზეა. აქ მრეწველობა კი არ ვითარდება, არამედ უბრალოდ არ არსებობს და უნდა შეიქმნას. მეორეც, ჩვენი მთიანეთი თავისი გეოგრაფიული და ბუნებრივი პირობებით სრულიად განსხვავდება საფრანგეთისაგან.

ჩვენთან ჯერ კიდევ მიწის კადასტრი არ ჩატარებულა, არ არსებობს სოფლის სტატუსი, სოფლის მმართველობა. საფრანგეთში მთის კანონს იცავს კონსტიტუცია, იქ მკვეთრად იყოფა ფუნქციები ფედერაციასა, კანტონებსა და კომუნებს შორის. ჩვენთან ასეთი რამ არ არის. ერთი სიტყვით, საფრანგეთამდე ბევრი გვიკლია. მთავარი კი ის არის, რომ საქართველომ უკვე მიიღო მთის კანონი, იმ პერიოდისათვის ჩვენ ვიყავით მსოფლიოში მე-11 ქვეყანა, ვისაც ასეთი კანონი ჰქონდა. შევქმენით დამატებანი და ცვლილებები ამ კანონში. განა ცნობილი არ არის, რომ ჩვენი სატკივარი და პრობლემები ყველაზე კარგად ჩვენ ვიცით, ხოლო ყოველგვარი კანონმდებლობა მხოლოდ ჩვენი მთიანეთის ჭირ-ვარამსა და გულისტკივილს უნდა გამოხატავდეს. აი, მაშინ შეიძლება ის გახდეს სრულყოფილი. უკეთესი არ იქნება, რომ დავიწყოთ შექმნილი კანონპროექტის მუხლებროვი განხილვა, მოვახდინოთ მისი ფინანსური და იურიდიული დახვეწა და შეთანხმებული პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან და მეცნიერებათა აკადემიის მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისიასთან, წარვუდგინოთ პარლამენტს დასამტკიცებლად. თუ კანონი მივიღეთ, შეჩერდება მთიდან მოსახლეობის სტიქიური მიგრაცია, აღორძინდებიან დაცლილი სოფლები, ადგილობრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საფუძველზე განვითარდება მრეწველობა, მოსახლეობა ადგილზე დასაქმდება, მრავალშვილიან ოჯახებს გაეწევათ დახმარება, გადასახადებისგან განთავისუფლდებიან საწარმოები, მთაში მუდმივად მცხოვრებთა ქონება, მესაქონლეებსა და მეცხვარეებს დაუდგინდებათ საზამთრო საძოვრები, ხელი შეეწყობა და გაუმჯობესდება განათლება და სამედიცინო მომსახურება, მთაში მომუშავეთ ხელფასზე და პენსიებზე დაუწესდებათ დანამატები, მთის მოსახლეობას აღუდგებათ საზღვრის დაცვის ფუნქციები. დაფუძნდება ტრადიციული თემი როგორც მთის მესაკუთრე და გადაეცემა მას მთის რესურსების მართვით უფლება, მთის აბორიგენი მკვიდრი თავს იგრძნობს მთის მეპატრონედ. ერთი სიტყვით, დაიწყება მთის აღორძინება.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც, მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები დსა ექსპერტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ თუ მთის პრობლემა არ მოგვარდა, უკვე ამ საუკუნეებშივე (XXI საუკ.) გაიზრდება სასმელი წყლის დეფიციტი, შემცირდება სარეკრეაციო რაიონების ბიომრავალფეროვნება, დაიწყება გლობალური დათბობა და მყინვარების დნობა. სწორედ ამიტომაა, რომ დღეს მთელი მსოფლიო იღვწის მთის სიცოცხლის უნარიანობის შესანარჩუნებლად, მთის მდგრადი განვითარების პოლიტიკის გასატარებლად. ჩვენ რაღა დაგვემართა, ქვეყანას, რომლის ტერიტორიის 79% მთაგორიანია. პატრიოტიზმი მარტო სადღეგრძელოში არ გამოიხატება; მივხედოთ ჩვენ საუნჯეს, ჩვენ მთიანეთს, დავხვეწოთ და ავამუშაოთ „მთის კანონი", ნუ დავკარგავთ ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყულ ტერიტორიას. დღევანდელი საქართველოს ტკივილი მისი მთიანი რეგიონებია. მთაა სწორედ უკიდურეს გაჭირვებაში, მთა და მთიულები ხომ ჩვენი სიამაყეა. მაშ, ვუშველოთ ჩვენ მთიანეთს.

**ბერდო გოიშვილი,**
**მეცნიერებათა დოქტორი**

კვალი დროში

# ჭეშმარიტი მამულიშვილობით გამორჩეული



**ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთ ღირსეულ და თვალსაჩინო წარმომადგენელს, სახელოვან მამულიშვილსა და გეოლოგთა და ენერგეტიკოსთა თაობების აღმზრდელს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს, საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის აკადემიკოსს ზურაბ მგელაძეს დაბადების 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წელი შეუსრულდა.**

ზურაბ მგელაძემ 1957 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი სამთო ინჟინერ-გეოლოგის კვალიფიკაციით და დაინიშნა „საქნავთობის" სისტემაში კოლექტორის თანამდებობაზე. შემდეგ საქმიანობდა საცხენისისა და პატარძეულის ნავთობის საბადოებზე გეოლოგად. როგორც თეორიული ცოდნით გამორჩეული მუშაკი 1960-63 წლებში სწავლას აგრძელებს ასპირანტურაში. 1963-87 წლებში მისი მოღვაწეობის ძირითადი მიმართულება საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სტუდენტების აღზრდას უკავშირდება. ამ პერიოდში იგი მუშაობდა ასისტენტის, უფროსი მასწავლებლის და დოცენტის თანამდებობებზე. 1987-91 წლებში იგი ნავთობისა და გაზის საბადოების ძიებისა და დამუშავების კათედრის გამგეა, 1991-92 წლებში – გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, ხოლო 1992-2005 წლებში – სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი.

1996-97 წლებში მუშაობდა „საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაციის" ვიცე-პრეზიდენტად, ქართულ-თურქული შპს „გეოტექსის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ. 1997-99 წლებში „საქნავთობის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრია. 1997-2000 წლებში – „საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს" უფროსის მოადგილე. 2000-2006 წლებში – „ანადარკო ჯორჯიან კომპანის" მთავარი მრჩეველი. 2007 წლიდან შპს „სტრეიტ ოილ ენდ გეს"-ში კომპანიის მთავარი მრჩეველია.

გეოლოგია-მინეროლოგიის მეცნიერებათა კანდიდატია 1972 წლიდან, ხოლო გეოლოგია-მინეროლოგიის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი 1992 წლიდან. ბატონი ზურაბის სამეცნიერო კვლევის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საქართველოს მეზოკაინოზოური ნალექების ნავთობგაზიანობის პერსპექტიულობის შეფასება, საქართველოს სანალექ საფარში ნახშირწყალბადების წარმოშობის, მათი დაგროვების კანონზომიერებანი, რიგი რაიონების სტრატიგრაფია, ზედაპირული და სიღრმული ტექტონიკური აგებულება. საქართველოს ტერიტორიაზე გამოყოფილია ლოკალური და რეგიონული ნავთობგაზშემცველი კომპლექსები, შედგენილია „საქართველოს ტერიტორიის ნავთობისა და გაზის საბადოების პერსპექტიული სტრუქტურების და ნავთობგაზგეოლოგიური დარაიონების რუკა".

ბატონი ზურაბი 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მათ შორის 4 მონოგრაფიისა და 4 გამოგონების. ერთ გამოგონებას მინიჭებული აქვს პატენტი, ორს – საავტორო მოწმობა. მიღებული აქვს მონაწილეობა მრავალ საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში. არის რესურსების საერთაშორისო, რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა, ენერგეტიკის და ეროვნული აკადემიების აკადემიკოსი, საერთაშორისო გეოთერმული, მსოფლიოს „მათემატიკური გეოლოგიის", ამერიკის მენავთობე გეოლოგთა ასოციაციების წევრი, საქართველოს ნავთობისა და გაზის მრეწველობის კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო ფონდის საქართველოს ნავთობისა და გაზის პერსპექტიულობის კომპიუტერული მოდელირების და მონიტორინგის პროექტის დროებითი კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალის „საქართველოს ნავთობი და გაზი" სარედაქციო კოლეგიის წევრი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით და გიორგი ნიკოლაძის სახელობის მედლით.

ბატონი ზურაბის მრავალ დადებით თვისებათა შორის უდავოდ გამოსაყოფია მისი უნარი გამონახოს დრო ყველასათვის, ვისაც მისი დახმარება თუ რჩევა-დარიგება ესაჭიროება. ბატონი ზურაბი უაღრესად გამორჩეული, მრავალი დადებითი თვისებების მატარებელი პიროვნებაა. მართალია, მან ძალზე რთული გზა განვლო, მაგრამ მისი ბიოგრაფია მხოლოდ ჭეშმარიტი მამულიშვილობით გამოირჩევა.

ბატონო ზურაბ, გილოცავთ 80 წლის იუბილეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ახალ წარმატებებს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

**რევაზ არველაძე,**
**საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,**

**რევაზ თევზაძე,**
**საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

წინასაახალწლო ვედრება

# უფალო, შეიბრალე მდიდრები!

**ამ წინასაახალწლო დღეებში, როცა სიღატაკის ზღვარზე მყოფი მოსახლეობა ელამელას არის ნაცემი, ღარიბებთან ერთად რატომღაც მდიდრებიც გამახსენდა. ისე, კაცმა რომ თქვას, რატომ არ უნდა გამხსენებოდა. ისინი, ჩვენთან მართალია, ცოტანი არიან, მთელი საზოგადოების რაღაც 7-8 პროცენტი, მაგრამ მაინც ხომ არიან? ნუ ვიქნებით უსამართლონი, მათ ის ჩაგვრა და უუფლებობაც ეყოფათ, რაც კომუნისტური რეჟიმის პირობებში გადაიტანეს.**

არაფერს ვაჭარბებ, თავის დროზე კომუნისტებმა მდიდრებს სოციალური თავმოყვარეობა უსინდისოდ შეულახეს. მათ არ შეეძლოთ საკუთარი ქონებით არამც თუ ეტრაბახათ (ნახეთ დღეს მილიარდერები თავს როგორ იწონებენ), არამედ, საერთოდ, გამოეჩინათ იგი. ამიტომ სულ მალავდნენ და ჩქმალავდნენ, ფული ჰქონდათ და ვერაფერს ყიდულობდნენ, ოქრო ჰქონდათ და მიწაში ფლავდნენ. რას იზამ, ასეთი იყო კომუნიზმის მშენებლობის ლოგიკა(!).

ეს მაშინ, მაგრამ რა ხდება დღეს?

საბაზრო ეკონომიკის სასახელოდ დღეს სულ სხვა ცხოვრება წამოვიდა. კომუნიზმს, როგორც იქნა, თავი დავაღწიეთ და დემოკრატიას ვაშენებთ, რომელსაც უყვარს მდიდრები და არ უყვარს ღარიბები. ყოველ ადამიანს, იქნება ეს მეწარმე, დეპუტატი თუ ჩინოვნიკი, მინისტრი თუ პრეზიდენტის ნათესავი, შეუძლია ჩადგეს ბიზნესში, არც თუ დიდი ოფლისა და გარჯის ფასად დააგროვოს ცხოვრებქონება, მილიონები და მილიარდები, აიშენოს ოფისები და სასახლეები. თუმცა რა, ამის მიუხედავად, რაც უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოთ, ისეთ ღატაკ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ღარიბების აბსოლუტური უმრავლესობა კვლავაც ჩაგრავს მდიდრების აბსოლუტურ უმცირესობას.

საქმე ის გახლავთ, რომ მდიდრებმა ვერც დემოკრატიულ სახელმწიფოში მიაღწიეს მათთვის წილი პატივისა და ღირსების აღიარებას. შეხედეთ აბა, დღეს ღარიბებს ყველაფრის უფლება აქვთ – აქციების მოწყობის, ქუჩების გადაკეტვის, სამუშაოსა და მაღალი ხელფასების მოთხოვნის, მდიდრებს კი – არაფრისა. მათ ისიც კი ვერ გაუბედავთ, დეკლარაციაში გულწრფელად განაცხადონ, რა ქონების პატრონნი არიან, რა რაოდენობის თანხები მიიზიდეს საკუთარი სასახლეების მშენებლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან თუ უცხოური ინვესტიციებიდან. შიშის ძველი კომპლექსი (ხომ შეიძლება დამიჭირონ!) მათ ამის უფლებას არ აძლევს. ამიტომ იძულებული არიან, დიდი საქვეყნო და საბიზნესო საქმეები დამუნჯებულებმა აკეთონ, მშენებარე თუ აუშენებელი ბინები სხვათა სახელზე გააფორმონ, უცხოური გრანტები და კრედიტები ნათესავებსა და ძმაბიჭებზე გასცენ, სიდედრსიმამრის ჯიპებით იარონ და რესტორნებში ქეიფისას ხმადაბლა იღიღინონ.

ღმერთმა ნუ ქნას, ამ ძმაბიჭებმა და ნათესავებმა, რომელთა სახელზეც მათი ქონებაა გაფორმებული, სინდის-ნამუსზე ხელი აღიონ, თორემ მდიდრები ხომ ერთმანეთზე მიყოლებით სულ ინფარქტით გაიკრიფებიან. ამის წარმოდგენაც კი არ მინდა. ვერ გამიგია, რატომ უნდა შევზღუდოთ მდიდრები ისე, რომ საკუთარი ქონებისა ეშინოდეთ? როგორც ჩანს, ეტყობა, საჭიროა მთავრობამ მდიდრების სასარგებლოდ რაიმე მოიმოქმედოს, თორემ მეტისმეტი გამოგვდის.

უფალმა უწყის, ქვეყნის მაოხრებელი მიშნაცების სასარგებლოდ სიტყვა როგორ წამომცდება, მაგრამ არ ვიქნები მართალი, დღეს ვამტკიცო, რომ მათ მდიდართა დაკარგული პრესტიჟის სარეაბილიტაციოდ არაფერი გააკეთეს. რეალობას სად გავექცევით, ნაცებმა, მართალია, საგადასახადო წნეხითა და ყოველდღიური დაყაჩაღებით საქმის კეთების ენთუზიასტ ბიზნესმენებს გამდიდრების შანსი კარგა ხნით დაუკარგეს, მაგრამ, სამაგიეროდ, **დიდი რუდუნებით იზრუნეს ელიტარული კორუფციის ასაყვავებლად, რომლის წყალობითაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა და მისმა საძმაკაცომ არნახულ სიმდიდრეს გამოკრეს ხელი.** დღეს მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ერთეული დიქტატორებისა და მუსულმანი შეიხების გარდა, არც ერთ პრეზიდენტს არ უცხოვრია ისეთი ფუფუნებით, როგორითაც იცხოვრა ულატაკესი ქვეყნის „ფარაონმა" სააკაშვილმა. არავის ჰქონია მისნაირი ძვირფასი სასახლე, არავის უყიდია საპრეზიდენტო ბოინგი და იახტა, რომელთა ღირებულება ასეულობით მილიონი დოლარია, არავის აღმოსჩენია ბიზნესის კეთების ისეთი უნიკალური ნიჭი, როგორიც სააკაშვილის ნათესავებსა და ოჯახის წევრებს.

როგორ ფიქრობთ, სააკაშვილის ნაცბანდა განა ამ ყველაფერს საზოგადოებაში ადრინდელ ხელისუფალთა მიერ უკანონოდ დაჩაგრულ და უფლებააყრილ მდიდართა რეიტინგის აღსადგენად არ აკეთებდა? ამის საილუსტრაციოდ, სხვა თუ არაფერი, მარტო ბენდუქიძის მაგალითიც გამოდგება. **„ეკონომიკის მამად" აღიარებული სახელმწიფო მინისტრი არც მალავდა, საქვეყნოდ აცხადებდა, რომ გამდიდრების წყურვილით შეპყრობილი არავის და არაფერს დაზოგავდა, გარდა საკუთარი სინდისისა, ყველაფერს (მიწას, წყალს, ჰაერსაც) ბაზარზე გაიტანდა და ორშაურად გაყიდდა.** ასეც მოიქცა, ხალხის სიმდიდრეს საკუთარი სინდისიც ზედ მიაყოლა და ისე გასივდ-გაიბეყვა, რომ მინისტრობიდან გადაყენებული კაბინეტის კარიდან ველარ გამოეტია და გამონგრეული კედლიდანღა გამოიტანეს. სიმდიდრის მთელი ხიბლი ამაშია – კი არ გამოიყვანეს, გამოიტანეს!

ამის შემდეგ მოდი და ნუ შეიბრალებ სააკაშვილ-ბენდუქიძისნაირ გამდიდრებულებს?! თუმცა, ისინი ჩვენ თუ არ შევიბრალეთ, არა მგონია, იმდენად მიმტევებლები აღმოჩნდნენ, რომ საკუთარი თავი თავადვე შეებრალოთ, მით უფრო, რომ არჩევნებში დამარცხების შემდეგ უტიფრად აცხადებენ: ხელისუფლებაში რომ მოვდიოდით, განზრახული გვქონდა, ხალხი გაგვემდიდრებინა, მაგრამ გამოუცდელობისა თუ სიხარბისა გამო ჩვენდაუნებურად, ჩვენივე თავი შემოგვემდიდრაო. აბა კაცო, თურმე მდიდრებს დასანახად ვერ იტანდნენ, მაგრამ შემთხვევით თავადვე გაყვეს თავი ამ უწმინდურბაში!

ასე რომ, ნაცები თვითონ კი სიმდიდრეში ჩაიქცნენ, მაგრამ ამის მისაღწევად იმდენი იყაჩაღეს და იმსუნაგ-იღორმუცელეს, რომ თავად სიმდიდრის პრესტიჟი ერთიანად უნამუსობის წუმპეში ამოსვარეს. ამის შემხედვარე მეოცნებეებმა, რა თქმა უნდა, ჯვარს აცვეს ნაცმოძის მოღალატური საქციელი და პირობა დადეს, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, პირად სიმდიდრეზე კი არა, ხალხის კეთილდღეობაზე იზრუნებდნენ, ხალხს კი არ მოიმსახურებდნენ, მას თავად მოემსახურებოდნენ.

ეს დღეც მალევე დადგა, მეოცნებენი კიდეც მოვიდნენ ხელისუფლებაში და კიდეც დაიწყეს ხალხის მომსახურება, მაგრამ არა ისე, როგორც ნაცები ემსახურებოდნენ – ბიზნესთან წილნაყარობითა და თვეში სამ-ოთხჯერადი პრემიალური ანაზღაურებით. არაო, თქვეს ახალმა ჩინოვნიკებმა, არამი ლუკმისკენ აღარ გავიხედავთ, მაგრამ რადგან ხალხს პატიოსნად და ხარისხიანად ვემსახურებით, ხელფასებიც შესატყვისი უნდა გვქონდესო. მართალია ეს ხალხიო, თქვა მაშინ პრემიერმა ივანიშვილმა და მინისტრებს ბრძანებით ყოველთვიურად 4335 ლარის დანამატი დაუწესა (ფაქტობრივად ხელფასი გაუორმაგა). იქვე განმარტებაც გაკეთდა, ეს ბევრი არ გეგონოთ, იმასთან შედარებით, რასაც მინისტრები პრემიების ჩათვლით ნაცების ხელში იღებდნენ, ეს მთელი 12 პროცენტით ნაკლებიაო.

მას შემდეგ (ხსენებული ბრძანება 2013 წლის 7 მარტს დაიწერა), როგორც ვიცი, არავის გაუკონტროლებია, ახალი მინისტრები რამდენად ინერტულნი არიან კორუფციისადმი, არც ის, რამდენი პროცენტით დაზარალდნენ ხელფასზე დანამატის დაწესებით, მაგრამ, როგორც ჩანს, მთავრობა არც ისეთი გულმავიწყია, ეს ყველაფერი გამორჩენოდა და მომავალი წლის ბიუჯეტში არ გაეთვალისწინებინა. **და აი, ახალი წლის მთავარი საფინანსო დოკუმენტის მიხედვით, 2014 წელს, 2012 წელთან შედარებით, კანცელარიაში მომუშავეთა რიცხოვნობა 215-დან 200 ადამიანამდე მცირდება, სამაგიეროდ, თითქმის 2 მილიონი ლარით იზრდება მომუშავეთა ანაზღაურება. ხელფასები ეზრდებათ როგორც ცალკეულ სამინისტროთა მუშაკებს, ისე მოსამართლეებსა და პროკურორებს.** თავად ფინანსთა სამინისტროში დასაქმებულთა რიცხვიც იზრდება და სახელფასო ფონდიც. „ნაციონალების" ბოლო ბიუჯეტით თუ ამ უწყებისთვის გამოყოფილი იყო 66,293 მილიონი ლარი, 2014 წლის ბიუჯეტის პროექტით ხადურის უწყება შრომითი ანაზღაურებისთვის 70,193 მილიონი ლარის დახარჯვას აპირებს.

ნიშანდობლივია, რომ ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ პროექტით განსაზღვრული შტატები აღარ ივსება (რჩება ვაკანსიები), სახელფასო ფონდში „აღმოჩენილი" რეზერვის ხარჯზე კი მთელი წლის განმავლობაში ხდება სახელფასო დანამატებისა თუ პრემიების გაცემა.

პარლამენტის ნაცუმცირესობა ამ ციფრებს რომ გაეცნო, სულ ჭიტლაყები ყარა – **ერთი შეხედეთ ამ ხალხის მსახურებს, ჩვენ რომ გვადანაშაულებდნენ, ფული თავადაც როგორ ჰყვარებიათ. იმის მაგივრად, რომ ჩავარდნილ ეკონომიკას მიხედონ, ხალხი დაასაქმონ და ბიზნესი განავითარონ, 600-მილიონიანი ვალის აღებასა და საკუთარი ხელფასების ზრდას გადაყვნენო.** ამას დაემატა ეროვნული ვალუტის დევალვაციაც, რასაც ზოგ პროდუქტზე ფასების ზრდა და ხალხის უკმაყოფილება მოყვა. მთავრობის წევრებსა და პარლამენტარებს რა ენაღვლებათ, მეუბნება მეზობელი ჯემალ ცუცქირიძე (პენსიონერი), ჯიბე 5-7-ათასიანი ხელფასებით აქვთ გამოტენილი და ბაზარში რასაც დაუფასებენ, უსიტყვოდ მისცემენ. მაგრამ ჩვენ რა ვქნათ, ვისაც არაფერი გვაბადია, ახალ წელს მშივრები შევხვდეთო?

აი, ხომ ხედავთ, არა თუ ნაცებმა, თავად მეოცნებეებმაც ვერ შეძლეს სიმდიდრის ფენომენისადმი ხალხის დამოკიდებულების შეცვლა. ჩვენ ქართველებს ნატოსა და ევროკავშირში შესვლა კი გვინდა, მაგრამ არაფრად ვაგდებთ მათში გასაწევრიანებელი პირობების დაცვას და უმცირესობის (მდიდრების) ინტერესების უზრუნველყოფა ქვეყანაში მაინც პრობლემად გვრჩება. რა დასამალია, ნაცებზე განაწყენებული ღარიბების აბსოლუტური უმრავლესობა კვლავაც ჩაგრავს მდიდრების აბსოლუტურ უმცირესობას.

არა, ასე გაგრძელება ნამდვილად აღარ შეიძლება. როგორმე ახლა მაინც რაიმე ცვლილება უნდა შევიტანოთ კანონმდებლობაში მდიდრების სასარგებლოდ (ამ შემთხვევაში, ალბათ, ნაცუმცირესობის მხარდაჭერა გვექნება), თორემ მეტისმეტი გამოგვდის: ეს ხალხი ძველ წყობილებაშიც ძალიან გვეჩაგრებოდა და ახალშიც.

უფალო, შეიბრალე, მდიდრები!

**ოთარ ხუციშვილი**

# „ჩემი სიკვდილის შემდეგ ბევრ ნაგავს მომაყრიან,

## იოსებ სტალინი და რუსეთის იმპერიის ისტორიული ბედი

**„ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩავჯდეთ და მერე განვიკითხოთ დროების შვილნიცა“.**

**ილია ჭავჭავაძე.**

**რამდენიმე** წელი და რუსეთის იმპერიას 300 წელი შეუსრულდება. 1721 წელს რუსეთ-შვედეთის „ოცდაერთწლიანი ომის“ დათავრებისთანავე სენატმა პეტრე დიდს „იმპერატორის“, რუსეთს კი, „იმპერიის“ წოდება მიანიჭა. ამ ხნის მანძილზე მას ზეაღმავალთან ერთად, „ჩავარდნებიც“ ბევრი ჰქონდა – ყირიმის, რუსეთ-იაპონიის, I მსოფლიო ომები. ამ უკანასკნელ დროს ავსტრია-უნგრეთის იმპერიის მსგავსად, რუსეთის იმპერიაც ლამის ხუხულასავით ჩამოიშალა, მაგრამ მაშინ მხსნელად ბოლშევიზმი მოევლინა – სსრკ-ად გარდაქმნილმა ამ იმპერიამ ტოტალისტური კომუნისტურ-სოციალისტური იდეოლოგიის წყალობით, მეორე სიცოცხლე ჰპოვა...

იმპერიის ზეაღმავალი ხაზი გაგრძელდა კიდევ უფრო დიდი მასშტაბებით. რაკეტ-ატომურ მონსტრად გადაქცეული და „ვეტოს“ უფლებით შეიარაღებული იგი მსოფლიო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების პირველხარისხოვან მოთამაშედ იქცა და ასეთად რჩება დღემდე. ყოველივე ამის შემოქმედი კი ქართველი კაცია – სტალინად გარდაქმნილი სოსო ჯუღაშვილი. გზა, რომელიც მან გაიარა „სოსელოდან“ ხალხთა „ბელადისა და მასწავლებლის“ რანგამდე, ერთ-ერთი ყველაზე უპრეცედენტო მაგალითია მსოფლიოს ისტორიაში...

უპრეცედენტოა მრავალფეროვანი, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი ლიტერატურაც მასზე: ათასობით გამოცემული ეს ლიტერატურა, როგორც წესი, ან, უზომო ქება-დიდების, ანდა, ასევე უზომო ლანძღვა-გინების შემცველია. იშვიათად, ძალიან იშვიათად თუ შევხვდებით ობიექტურ ანალიზს და შეფასებას მათში. სისხლიანი დიქტატურა და ტერორი, რომელიც თანმდევი პროცესია ნებისმიერი რევოლუციისა და ძალაუფლებისთვის ბრძოლისა, მთლიანად სტალინის ცოდვად იქნა მონათლული, თითქოსდა, მსოფლიო ისტორია მათ ნაკლებობას განიცდიდეს მის ნებისმიერ ეპოქაში ნაბუქოდონოსორიდან დღემდე...

ეს ისტორია ერთ ადგილზე არ დგას და ჩვენს თვალწინ გრძელდება კომუნისტური იდეოლოგიისა და პრაქტიკის სრული დევალვაცია. შესაბამისად, რუსეთის იმპერიული ამბიციებიც სულს ღაფავს და სულ მალე დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ორმაგი წნეხისა და ზეწოლის შედეგად, ეს ობიექტური პროცესი თავის ლოგიკურ დასასრულამდე მივა. იმპერიებიც იმიტომ იქმნებიან ხოლმე, რომ მერე დაიშალონ. მარტო რომის „ასწლოვანი იმპერიის“ გახსენება რად ღირს...

მაგრამ ამასთან, ისტორიაში რჩებიან მაკედონელებისა თუ იულიუს ცეზარების სახელები და სტალინის სახელიც მარად შემორჩება ისტორიის ჟამთა სვლას. ერთი ეგაა, რომ აუცილებელია მისი ეპოქისა და თვითონ მისი პიროვნების ობიექტური მეცნიერული ანალიზი, „ჯერ იმ დროების ქერქში ჩაჯდომა“ და მერე „განკითხვა“. ეს განსაკუთრებით ჩვენ გვეხება, რამეთუ რაც არ უნდა ითქვას, სტალინი ქართველი კაცი იყო თავისი ყველა პიროვნული თუ ეროვნული მახასიათებლებით. ამიტომ მისი ფენომენის კვლევა ჩვენი ეროვნული მეცნიერების მოვალეობაა...

დღეს კი ბევრს შევხვდებით ისეთ გამოკვლევას რუსეთშიც და დასავლეთშიც, სადაც იგნორირებულია მაშინდელი საქართველოს ის საერთო ისტორიული გარემო – პირობები, როცა მოხდა სტალინის პიროვნების ფორმირება. საქმე იქამდე მივიდა, რომ „ახალგაზრდა სტალინზე“ წერენ ისინი, რომელთაც წარმოდგენა არა აქვთ XIX საუკუნის 80-90-იანი წლების გორის სოციალურ ყოფაზე, ცხოვრების ქართულ წესზე, განათლებისა და კულტურისა თუ სტალინის ოჯახურ და სამეზობლო-სამეგობრო გარემოცვაზე. არადა, მათ გაუთვალისწინებლად ვერასოდეს ჩავწვდებით პიროვნების ფორმირების ნამდვილ არსს, იმ ფსიქო-გენეტიკურ და სოციალურ-კულტურულ გარემოს, რომლის პირობებშიც ყალიბდება ქართველი კაცის ბუნება და ხასიათი, სიკვდილამდე რომ თან სდევს მას...

**ელბერდ ბატიაშვილი**

# უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე და გამორჩეული მხედართმთავარი

**მსოფლიოს ისტორიაში კაცობრიობის კეთილდღეობისთვის არც ერთ გამოჩენილ პიროვნებას არ გაუკეთებია იმდენი, რამდენიც სტალინმა გააკეთა. ცნობილია, რომ რუსეთი 1917 წლის შემდეგაც დიდი ხნის განმავლობაში უცვლელი რჩებოდა, მან კი ძირფესვიანად გარდაქმნა იგი და სრულიად ახალ გზაზე დააყენა, რომლითაც ორმოცი წელი წარმატებით იარა და დღემდე ამ გზით დადის.**

ცნობილია, რომ იოსებ სტალინი 30 წელზე მეტ ხანს ხელმძღვანელობდა მის მიერ შექმნილ მსოფლიოში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს, ამ ხნის განმავლობაში მისი ტიტანური შრომითა და პრინციპულობით ბოლო მოეღო მშრომელთა უფლებების უგულებელყოფას და მის თანამდევ უმუშევრობასა და სიღარიბეს, მოხდა კულტურული რევოლუცია, რომელმაც საბჭოთა კავშირი მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზე გაიყვანა, განხორციელდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, რამაც ბოლო ადგილზე მყოფ საბჭოთა კავშირს, ომამდელი ხუთწლედების განმავლობაში მრეწველობის განვითარების მიხედვით ევროპაში პირველი, ხოლო მსოფლიოში მეორე ადგილი დაუმკვიდრა. სოფლის მეურნეობაში გატარდა მნიშვნელოვანი სოციალისტური გარდაქმნები, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მისი, როგორც უმაღლესი ხარისხის პროდუქციის მწარმოებელი დარგის განვითარებას. უდიდეს წარმატებებს მივაღწიეთ მეცნიერებასა და ტექნიკაში.

სტალინის, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის გენიალურმა გამჭრიახობამ და სტრატეგიულმა ნიჭმა დიდ სამამულო ომში ფაშისტურ გერმანიაზე და იაპონიაზე გამარჯვება განაპირობა. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, როცა სტალინის მოწინააღმდეგეებიც კი მისი დახასიათებისას მხოლოდ აღმატებით ხარისხს მოიშველიებენ. ამაზე ნათლად მეტყველებს მსოფლიოში ცნობილი სამხედრო სპეციალისტების და სახელმწიფო მეთაურების გამონათქვამები მისი, როგორც თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწის და მხედართმთავრის შესახებ.

საკმარისია მოვიყვანოთ დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის უ. ჩერჩილის გამოსვლა ინგლისის პარლამენტის თემთა პალატაში 1959 წლის 21 დეკემბერს: **„სტალინი იყო უდიდესი დიქტატორი, რომელსაც მსოფლიოში ბადალი არ ჰყოლია. მან მიიღო ხის კავიანი რუსეთი და დატოვა ატომური იარაღით აღჭურვილი, რაც არ უნდა თქვან მასზე, ასეთ ადამიანებს ისტორია არ ივიწყებს“.**

ერთობ საგულისხმოა გამოჩენილი მხატვრის პაბლო პიკასოს აზრი: **„იყო სტალინი – ნიშნავს სიცრუის სიძულვილს... და ადამიანების დაფასებას... მასში იყო იულიუს კეისრის ჭკუა და მარკუს ოქტავიუსის ეშმაკობა, ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავრული გენიალობა და ციცერონის ორატორული დამარწმუნებლობა და ლაკონურობა, მაგრამ, ის მათზე გაცილებით მაღლა იდგა. მასში ყველა ეს თვისებები ერთად იყო განსახიერებული. და თუ მსოფლიოს ისტორიაში სამი-ოთხი ადამიანი დარჩება, ერთი მათგანი, უეჭველად სტალინი იქნება“.**

.სტალინის პიროვნების ანალოგიური შეფასებები შეიძლება მრავლად მოვიყვანოთ სახელგანთქმული მხედართმთავრების ჟუკოვის, როკოსოვსკის, კონევის, ვოროშილოვის, მოლოტოვის, ანდრეევის და სხვა ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეების, აგრეთვე მეცნიერთა და უბრალო ადამიანების მიერ მისდამი მიძღვნილი სპეციალური წერილებიდან, განსაკუთრებით პარტიის XX ყრილობაზე მისი „პიროვნების კულტის“ უსაფუძვლოდ გამომზეურების შემდეგ.

მიუხედავად ამისა, თვალს ვერ დავხუჭავთ იმ ცალკეულ შეცდომებზე, რაც სტალინის მმართველობის პერიოდში იყო დაშვებული, ქვეყნის ხელმძღვანელობის შემადგენლობაში გამძვრალი ზოგიერთი შენიღბული მტრის მცდელობით, როცა დაუძინებელ მტრებთან ერთად უდანაშაულო ადამიანებიც დაზარალდნენ.

სტალინმა მსოფლიოს პოლიტიკა და ეკონომიკა ძირფესვიანად შეცვალა, ამიტომ იყო და ყოველთვის რჩება ის ძლიერ პოლიტიკურ ფიგურად. უდავოა, რომ რაც არ უნდა ებრძოლონ ნიჭიერ ადამიანებს, მათ ისტორიიდან მაინც ვერ წაშლი. თვითონ სტალინს აქვს ნათქვამი – **„ჩემი სიკვდილის შემდეგ ბევრ ნაგავს მომაყრიან, მაგრამ ამ ნაგავს ისტორიის ქარი გაფანტავს“.**

ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ხრუშჩოვის მოხსენება 1956 წლის 25 თებერვალს სკკპ XX ყრილობაზე „პიროვნების კულტის და მისი შედეგების შესახებ“, რომელზეც არაობიექტურად იყო გაშუქებული იოსებ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის მრავალი საკითხი, რამაც კომუნისტების და ფართო საზოგადოების დიდი პროტესტი გამოიწვია. როგორც ცნობილია, შემდგომში ეს დადგენილება გააუქმეს, როგორც სკკპ დებულების ნორმების დარღვევებით მიღებული.

ამის მიუხედავად, ჯერ კიდევ არსებობენ ე.წ. ცრუ მეცნიერები და დაინტერესებული ორგანიზაციები, რომლებიც ძველებურად, ყოვლად უსაფუძვლოდ აშუქებენ იმ პერიოდში იოსებ სტალინის მოღვაწეობას და როლს სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში.



ყოვლად გაუგებარია, როცა სტალინის წინააღმდეგ აქტიურად იღვწიან

**ეს მეწაღისა და მრეცხავის შვილი ნამდვილი თვითნაბადი ოქროა. მას გამაოგნებელი ინტელექტუალური შესაძლებლობები გააჩნია. ის ციტირებს მთელ პარაგრაფებს ბიბლიიდან და ბისმარკის ნაწარმოებიდან. კითხულობს პლატონს ორიგინალში, თვითონ წერს თავის გამოსვლებს და სტატიებს. ამასთან, მისი სტილი ერთდროულად მკაფიოც არის და დახვეწილობითაც გამოირჩევა!..**

**ჟურნალი „ლაიფი“. 1943 წლის მარტი**

საქართველოს ყოფილი მთავრობის წარმომადგენლები, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის სამდღიან ომში „გამარჯვებული მთავარსარდლის“ მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით, რომლებმაც ფარულად, ღამით აალებინეს სტალინის ძეგლი ქ.გორში, რამაც ფართო საზოგადოების პროტესტი გამოიწვია.

გულწრფელად უნდა ითქვას: ძნელია, ისტორიაში მოიძებნოს პიროვნება, რომელიც თავისი მოღვაწეობით ასეთ ცხოველ ინტერესს იწვევდეს. **რაც მეტი „ცუდი“ წიგნი იწერება სტალინზე, რაც უფრო მეტად ლანძღავენ მას, მით უფრო ნათლად ჩანს მისი დამსახურება კაცობრიობის წინაშე.**

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ხრუშჩოვის ინიციატივით სტალინის კულტის დამუშავების შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ამ პერიოდში რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის, განსაკუთრებით კი სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის მიერ ჩატარებული სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე, შექმნილია არა ერთი დამაჯერებელი მასალა, ასევე ცალკეული ცნობილი მეცნიერის მიერ გამოცემულია უამრავი წიგნი, რამაც თავდაყირა დააყენა სტალინის მიმართ ყოვლად უსაფუძვლოდ წაყენებული პერსონალური ბრალდებები, როგორც 1937 წლის რეპრესიების, ისე მთლიანად მის მიერ ქვეყნის ხელმძღვანელობის საკითხებში.

... 2009 წლის ნოემბერში საერთაშორისო ვეტერანთა ორგანიზაციის საკოორდინაციო საბჭოს ეგიდით ქ. მოსკოვში მოწვეულ სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციაზე რუსეთის ფედერაციის სამხედრო მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტის მ.გარეევის მოხსენებაში „საბჭოთა კავშირის მსოფლიო ისტორიული როლი დიდ სამამულო ომში გერმანიის ფაშიზმის განადგურების საქმეში“, სტალინის მოღვაწეობა წარმოდგენილი იყო ყოველგვარი ადრე წაყენებული პრეტენზიების გარეშე, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი გამორჩეული პოლიტიკური მოღვაწისა და მხედართმთავრისა. ამ ისტორიულ კონფერენციაზე, პირველად სტალინის გარდაცვალების შემდეგ, აღინიშნა მისი დაბადების 130 წლისთავი და კონფერენციის მონაწილენი, მათ შორის ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებიც, ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით, სპეციალურად დაწესებული სამახსოვრო მედლებით დაჯილდოვდნენ.

განსაკუთრებულ გაკვირვებას იწვევს ჩვენი ქვეყნის ყოფილი ხელმძღვანელების ყოვლად გაუგებარი მოქმედება – ქ.გორში, ღამით, ფარულად ი.სტალინის ძეგლის ჩამოგდება! **გაუგებარია, რატომ არ უნდა იდგეს მისი ძეგლი მშობლიურ ქალაქში?** ეს არაფერ შუაშია საქართველოში დემოკრატიის დამკვიდრებასთან ან სხვა, დღემდე უამრავი პრობლემური საკითხების მოგვარებასთან. საგულისხმოა, რომ მანამდე ასევე ყოფილი მთავრობის წევრების მითითებით დავით აღმაშენებლის (თბილისში), ილია ჭავჭავაძის და მემედ აბაშიძის (ბათუმში) ძეგლები გადაიტანეს შეუფერებელ ადგილებზე. ხოლო დიდი სამამულო ომის 65 წლისთავის დღეებში ყოფილი პრეზიდენტის უშუალო მითითებით ააფეთქეს „დიდების მემორიალი“ ქ.ქუთაისში, რაზედაც ომის ვეტერანთა ცენტრალურმა კავშირმა თავის დროზე პროტესტი გამოთქვა, მაგრამ არამც თუ რეაგირება, მასზე პასუხიც არავის გაუცია.

აღსანიშნავია, რომ სტალინის ფენომენთან დაპირისპირება და ამ ისტორიული მნიშვნელობის ძეგლების უსაფუძვლოდ გადატანა-გადმოტანა, სულაც დანგრევა ახლაც და მომავალშიც ზიანის გარდა არაფერს მოუტანს საზოგადოებას. ეს ადრე, თავისი მოკლე ჭკუით, ნიკიტა ხრუშჩოვმაც მოინდომა, მაგრამ ვერ მოახერხა, სამაგიეროდ, ცნობილია თუ რა სამარცხვინოდ დაამთავრა მან თავისი მოღვაწეობა და როგორი რეპუტაციით გადააყენეს ქვეყნის მეთაურის თანამდებობიდან.

ზემოთ მოყვანილი მასალები ნათლად მეტყველებენ იმაზე, რომ მსოფლიოში აღიარებული ამ შეუდარებელი პიროვნების სამშობლოში არსებული ძეგლის ერთპიროვნულად, ფართო საზოგადოებასთან შეუთანხმებლად, ფარულად და ბარბაროსულად აღება სხვა არაფერია, თუ არა დღევანდელ პირობებში განუკითხაობის მხარდაჭერა, ვინაიდან ამ ძეგლებმა უნდა მოაგონონ დღევანდელ და მომავალ თაობებს, რომ ამ ადამიანის ღვაწლს, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა კაცობრიობის ყველაზე საშიში მტრის ფაშიზმის – „შავი ჭირის“ განადგურების საქმეში, სხვა დამსახურებასთან ერთად, მთელი მსოფლიო აღიარებს. ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს, რომ ძეგლი უნდა დაბრუნდეს იქ, სადაც იდგა, ე.ი. ქალაქის ყველაზე თვალსაჩინო ადგილას, რათა უფრო მოხერხებულად აგონებდეს ყველას, როგორც ჩვენს მოქალაქეებს, ისე უცხო ქვეყნებიდან ჩამოსულ სტუმრებს, მისი ღვაწლის სიდიადეს.

სტალინური იდეები, სტალინის სახელი მუდამ იცოცხლებს, როგორც ამ საზოგადოების არსებობის, ურთიერთობის და განვითარების სამართლიანი ფორმა...

საქმე, რომელსაც სტალინმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა, უკვდავია, ხოლო ისტორია მის სახელს არასოდეს დაივიწყებს.



**გიორგი ხაზარაძე,**
**ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, გადამდგარი გენერალ-მაიორი**

# მაგრამ ამ ნაგავს ისტორიის ქარი გაფანტავს...“

ი. სტალინი

## ისტორიის უცნობი ფურცლები

# სტალინის პირადი მზარეული

**გასული საუკუნის ოცდაათიან-ორმოციანი წლები საინტერესო და საყურადღებოა თავისი მოვლენებითა და ფაქტებით, წლები — ტრაგიკულიც და საიდუმლოც, გმირულიც და რომანტიკულიც. დღესაც ხშირად ვუბრუნდებით იმ წლებს. ჩემთვის — ჟურნალისტისა და მკვლევარისთვის — ეს დრო საინტერესოა, უწინარეს ყოვლისა, ადამიანთა ბედის თვალსაზრისით. ასეთია, ჩემი აზრით, ჩვენი თანამემამულის ალექსანდრე არსენის ძე რთველაძის ბედი, რომლის ცხოვრებაც მჭიდროდ უკავშირდება საქართველოს ისტორიას, ჩვენი ოდესღაც დიდი საბჭოთა სახელმწიფოს ბედს. სწორედ იგია სტალინის დომინანტიც.**

ალექსანდრე რთველაძემ დიდხანს და მეტად საინტერესოდ იცოცხლა, მოასწრო აღენიშნა თავისი 90-ე გაზაფხული. იგი ყველაზე მშვიდობიანი პროფესიის ადამიანი იყო — მზარეული. ასეთები ათასობითაა. მაგრამ თავის სამზარეულო ხელოვნებაში მან ისეთ სიმაღლეებს მიაღწია, რის შესახებაც შეიძლება მხოლოდ იოცნებო — გაიარა გზა სოფლელი ბიჭიდან სტალინის პირად მზარეულამდე.

მქონდა ბედნიერება წლების განმავლობაში ვყოფილიყავი ალექსანდრე რთველაძის არა მხოლოდ მეზობელი, არამედ მემეგობრა მის შვილებთან, მემუშავა კიდეც მასთან ერთად საქართველოს პარტიულ ორგანოებში. და მხოლოდ ათეულობით წლების შემდეგ აიხადა ჩემთვის ამ ადამიანის უმდიდრესი წარსულის ფარდა. ამ ცოტა ხნის წინათ, ა.რთველაძის რძლის თინა კუპრაძის წყალობით, ვინც შესაძლებლობა მომცა, გავცნობოდი იმ ქვეყნად წასული მისი სახელოვანი მამამთილის პირად საქმეებს, ბოლოს და ბოლოს, აღმედგინა გარკვეულწილად ამ არაორდინარული ადამიანის ბიოგრაფია.

განსაკუთრებით გხიბლავს ალექსანდრე რთველაძის ზესაიდუმლო მისია დიდი სამამულო ომის წლებში სტალინის პირადი მზარეულის სახით. იგი პასუხისმგებელი იყო სტალინის, რუზველტისა და ჩერჩილის კვებაზე თეირანის კონფერენციაზე, იყო „დიდი სამეულის“ შეფ-მზარეული იალტის კონფერენციაზეც, დამარცხებულ გერმანიაში კი სათავეში ედგა კულინარების საბჭოთა ჯგუფს პოტსდამის სასახლეში, სადაც სტალინის, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტის ტრუმენისა და ჩერჩილის (რომელიც მალე ახლად არჩეულმა პრემიერ-მინისტრმა ეტლიმ შეცვალა), მესამე საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. როგორც ძველი ჩეკისტები მიამბობდნენ ხოლმე, ჯერ კიდევ თეირანში ჩერჩილმა, გაოცებულმა ალექსანდრე რთველაძის დამზადებული კერძების სინატიფით, მას „კულინარის მოცარტი“ უწოდა, რუზველტმა კი ბრიტანეთის პრემიერის სიტყვებს ღიმილით დაუმატა: „და პაგანინიც“. ჩვენ ამ ეპიზოდს ისევ დავუბრუნდებით.

ალექსანდრე რთველაძე ონის რაიონის ულამაზეს სოფელ შეუბანში დაიბადა 1899 წლის 25 მაისს. გაჭირვებამ მოზარდი პატარაობიდანვე ფიზიკურ შრომაში ჩააბა. ის პირველად სამზარეულოში 12 წლისა მოხვდა და თავისი ცხოვრების უკანასკნელ დღეებამდე მოსვენებას არ აძლევდა გამრჯე ხელებს. პატარა ალექსანდრე ტფილისში 1911 წელს ჩამოიყვანეს და რესტორან „ჩრდილოეთის ნომრების“ კაფეში მიაბარეს, როგორც მაშინ ამბობდნენ ხოლმე, „ბიჭად“ — თეფშების მრეცხავად. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მისცა სამზარეულო საქმის სახელგანთქმულმა ოსტატმა სიმონ კახეთელიძემ ნორჩ რაჭველს ქურასთან დადგომის ნება.

მალე რუსეთის იმპერია დაემხო. 1919 წელს დემოკრატიულ საქართველოში ა.რთველაძე სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. აქ გაიგეს მისი კულინარიული ცოდნის ამბავი და ოფიცერთა სასადილოში განაწესეს მზარეულად, სადაც ხშირად სადილობდნენ ქართული არმიის სარდლები, გენერლები ვასილ გაბაშვილი, გიორგი კვინიტაძე, გიორგი მაზნიაშვილი და ილია ოდიშელიძე.

კვლავ შეიცვალა ხელისუფლება. საქართველოში წითელი დიქტატურა დამყარდა. ა.რთველაძემ რამდენიმე სამსახური შეიცვალა და ჭიათურაში აღმოჩნდა, სადაც მზარეულად დაიწყო მუშაობა სააქციო საზოგადოება „ქართულ მანგანუმში“. აქ მალე ალაპარაკდნენ ახალგაზრდა რაჭველის კულინარიულ უნარზე. აქვე მოხდა საინტერესო შემთხვევა. ა.რთველაძის კერძები ისე მოეწონა მაშინდელ ამერიკელ აქციონერ ავერად ჰარიმანს, რომ შეეხვეწა ჩემთან წამოდი ამერიკაშიო. მაგრამ იმ დროისთვის, 1922 წელს, ალექსანდრეს ცოლად ჰყავდა მოყვანილი მშვენიერი გოგონა ნინო ყავლაშვილი და არსად წასვლას არ აპირებდა.

ჩემს არქივში შემონახულია ა.რთველაძის ინგლისური ენიდან თარგმნილი სასამსახურო დახასიათება: „ამასთან ერთად, მაქვს პატივი გავუწიო რეკომენდაცია ალექსანდრე რთველაძეს, რომელიც მსახურობდა სააქციო საზოგადოება „ქართულ მანგანუმში“ უფროს მზარეულად. მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში ის იყო მეტად უნარიანი და კეთილსინდისიერი თავის მოვალეობებთან დაკავშირებით და პატიოსანი ყოველმხრივ“. დახასიათებას ხელს აწერდა „ქართული მანგანუმის“ მთავარი ინჟინერი დ.მ.ვეერი. ეს იყო 1926 წელს. ბედმა ისე ინება, რომ მეორე მსოფლიო ომის წლებში ალექსანდრე რთველაძე და ავერელ ჰარიმანი კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს კრემლში, შემდეგ კი სამივე საერთაშორისო კონფერენციაზე — თეირანში, იალტასა და პოტსდამში. ავერელ ჰარიმანს (ის 1943-46 წლებში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი იყო სსრ კავშირში) ძალიან გაუხარდა თავისი ძველი თანამშრომლის ნახვა და ამის შესახებ „დიდმა სამეულმაც“ გაიგო...



1927 წელს ალექსანდრე რთველაძე მიიწვიეს მოსკოვში უმაღლესი კლასის რესტორან „მეტროპოლში“, სადაც მალე მიანიჭეს პირველი კატეგორიის მზარეულის წოდება. სამუშაო იყო უაღრესად პასუხსაგები: ემსახურებოდნენ მხოლოდ კრემლის უცხოელ სტუმრებსა და საბჭოთა მთავრობას. მაშინვე, 1928 წელს, კეთილსინდისიერი ქართველი მზარეული მიიღეს კომუნისტური პარტიის რიგებში. რამდენიმე ხნის შემდეგ, 1932 წელს, ა.რთველაძეს აგზავნიან თბილისში სკკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის განკარგულებაში, რომლის სასადილოშიც უფროს მზარეულად იწყებს მუშაობას. მალე ირჩევენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს წევრად. ასე მოხვდა იგი საქართველოს კომპარტიის (ბ) მაშინდელი პირველი მდივნის ლ.პ.ბერიას მხედველობის არეში, რომელსაც მოეწონა მარჯვე მზარეული, მისი კერძები ყოველთვის გამოირჩეოდა სასიამოვნო გემოთი. ბერიას მახვილ მზერას არ გამოჰპარვია რთველაძის ბევრი კარგი თვისება — თავმდაბლობა, სიგამხდრე, საშუალო სიმაღლე, ქურის მახლობლად, ფუტკარივით ტრიალი, რისი შედეგიც კულინარიის შესანიშნავი ნიმუშები იყო.

გარკვეული დროის შემდეგ ა.რთველაძე ლენინგრადში გაგზავნეს უმაღლეს კულინარიულ კურსებზე, სადაც, ლ.ბერიას რჩევით, ფრანგული სამზარეულო შეისწავლა. როდესაც სახლში დაბრუნდა, რთველაძემ ბერიას პირად მზარეულად დაიწყო მუშაობა. ისინი თითქმის თანატოლები იყვნენ, ბუნებრივია, ის საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შტატში ირიცხებოდა. ასეთი წესი იყო მაშინ. ყოველთვის ახლოს რომ ჰყოლოდა, ბერიამ მას კარგი ბინა გამოუყო ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის გვერდით, სულხან საბას ქუჩაზე № 9.

1938 წლის 22 აგვისტოს ლავრენტი ბერია მოსკოვში გადაჰყავთ, ჯერ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ, იმავე წლის 25 ნოემბერს კი სახალხო კომისრად დაამტკიცეს.

სტალინმა ბერიას ნება მისცა საქართველოდან თავისთან წაეყვანა, მისთვის საჭირო ადამიანები. ასე დაიწყო ალექსანდრე რთველაძემ, რომელიც ბერიას არყოფნის დროს შეფმზარეულად მუშაობდა გაგრასა და სოხუმში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სპეციალურ სამკურნალო სამმართველოს ჯანმრთელობის კერებში, 1939 წლის 1 სექტემბერს თავისი პირდაპირი მოვალეობის შესრულება მოსკოვში, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ლ.ბერიასთან, ვისი ოჯახიც — მეუღლე ნინო თეიმურაზის ასული და 15 წლის ვაჟი სერგო — სტალინის მოთხოვნით, უკვე იმყოფებოდა მოსკოვში. რთველაძემ პირობა კი ითხოვა, რომ მისი ოჯახი თბილისში დაეტოვებინათ.

ბერიასთან სტუმრად ხშირად მიდიოდა სტალინი, რომელსაც უყვარდა ქართული კერძები, რომლებსაც ლავრენტის ცოლი ნინო გეგეჭკორი ამზადებდა. რამდენიმე ხნის შემდეგ სტალინის სამზარეულოში მუშაობა დაიწყო ბერიას გაგზავნილმა ქართული კულინარის ოსტატმა ალექსანდრე რთველაძემ.

სტალინს რთველაძე ჯერ კიდევ ოციანი წლებიდან იცნობდა, შეახსენა კიდეც მას თავიანთი შეხვედრის შესახებ ქართლში. ქართველ მზარეულს კრემლის მახლობლად, ტროიცკის შესახვევში № 6 ცალკე ოთახი გამოუყვეს იმის გამო, რომ მას ხშირად უწევდა კრემლში გვიანობამდე ყოფნა, როდესაც სტალინის სტუმრებს ემსახურებოდა, რთველაძეს შესაძლებლობა ჰქონდა ღამით დარჩენილიყო ხოლმე კრემლში. ასე დაიწყო ალექსანდრე რთველაძისთვის კრემლში ცხოვრება, რომელიც აღსავსე იყო განსაკუთრებული ვალდებულებებითა და უმაღლესი პასუხისმგებლობებით, რაც მთელი 14 წელი გაგრძელდა, 1953 წლის 14 აგვისტომდე, როდესაც ოფიციალურად გაათავისუფლეს შტატების შემცირების საბაბით. ამ წლებში ბევრი ჯილდო და მადლობა დაიმსახურა. კრემლში მისი მუშაობის უკანასკნელ მომენტს გავიხსენებ. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განყოფილების გამგემ ა. რთველაძეს მადლობა გამოუცხადა ფულადი ჯილდოს მინიჭებით. ბრძანებაში აღნიშნული იყო: „გულისხმიერი მუშაობისა და სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისთვის“ — 1953 წლის 18 მაისი“. 1953 წლის აგვისტოში ის კრემლიდან სამუშაოდ გადაიყვანეს სახელგანთქმულ რესტორან „არაგვში“ საამქროს უფროსად.

მოსკოვში ალექსანდრე რთველაძეს კიდევ შვიდი წელი მოუწია დარჩენა. მუშაობდა „მოსრესტორანტრესტის“ სისტემაში, ერთ-ერთი პირველი გახდა სსრ კავშირში ახალი საპატიო წოდების „ოსტატი-მზარეულის“ მფლობელი, შემდეგ კი ნიშნისა — „საბჭოთა ვაჭრობის წარჩინებული“ და მედლის „წარჩინებული შრომისთვის“.

1962 წლის მაისში ის თბილისში დაბრუნდა, სადაც მოუთმენლად ელოდნენ მეუღლე ნინო, შვილები ოთარი, კოტე, თამარი და ქეთო. რამდენიმე წელი რესტორან „ინტურისტში“ იმუშავა. მისი ნახელავების გასაცნობად აქ შორიდანაც მოდიოდნენ. სხვათა შორის, აქ მან აღორძინა ჩვენი წინაპრების კერძი — პარკი ლობიოს საცივი, რომელიც ყველას მოეწონა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელ პირველ მდივან ვასილ მჟავანაძემდე მივიდა „ცნობა“ ალექსანდრე რთველაძის განსაკუთრებულ ოსტატობაზე. ამ „ცნობის“ შედეგი გახდა მუშაობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სასადილო სამმართველოში შეფმზარეულად. ცენტრალურ კომიტეტში ედუარდ შევარდნაძის მოსვლის შემდეგ ალექსანდრე რთველაძე მისი პირადი მზარეული გახდა.

სამოცდაათიან წლებში რესპუბლიკის პარტიულ ორგანოებში ვმუშაობდი და „ცეკას სასადილოში“ კვლავ შევხვდი ჩემს მეზობელს, რომლის შვილთანაც ვმეგობრობდი. ერთხელ მან, სხვათა შორის, მითხრა, რომ მუშაობდა სტალინთან, რის შესახებაც არაფერი გამეგონა მისი შვილებისგან. ლამის ძალით „ამოვგლიჯე“ მას ნაწყვეტები მისი ოდინდელი ცხოვრებიდან. შესანიშნავად მესმოდა,რომ თავის დროზე სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ხელმძღვანელებს ტაბუ ჰქონდათ დადებული კრემლში მის ყოფნაზე და ყველაფერზე, რაც დაკავშირებული იყო სტალინსა და ბერიასთან. მაგრამ დრო გადიოდა, ხელისუფლებები იცვლებოდა, ჩემი ბლოკნოტი კი ივსებოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობებით, მისი გარდაცვალების შემდეგ (1990 წლის 2 მარტი) კი მისი შვილების, რძლის თინა კუპრაძის ნაამბობებიდან.

როგორც ალექსანდრე რთველაძე იგონებდა, განსაკუთრებით მძიმე დრო იყო 1941 წლის ოქტომბერში. „მოსკოვში საშინელი პანიკა სუფევდა. დედაქალაქი დაცარიელებული გვეჩვენება. ერთ-ერთ ასეთ დღეს, იოსებ ბესარიონის ძე (ყოველთვის ასე მივმართავდით სტალინს), ჩვენთან სამზარეულოში შემოვიდა, — გვიამბობდა ა.რთველაძე — როდესაც ჩვენი დამწუხრებული სახე დაინახა, მხარზე ხელი დამადო და ქართულად მითხრა (სხვათა შორის, როდესაც მარტო ვიყავით, ყოველთვის ქართულად მესაუბრებოდა) — „ხომ არ გეშინია, არსენიჩ?“ (სტალინიც ყოველთვის მამის სახელით მომმართავდა). მე თავი დავხარე და გულწრფელად ვუთხარი: „ცოტათი მეშინია“. ამაზე სტალინმა მშვიდად, თუმცა, დაბეჯითებით თქვა: „ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება“.

დადგა დიდხანს ნანატრი გამარჯვების დღე. აღლუმის შემდეგ სტალინმა ჩვენთან სამზარეულოში შემოიხედა. ჩვენ ყველა ლამის ერთხმად შევხვდით მას: „გილოცავთ, იოსებ ბესარიონის ძევ, გამარჯვებას!“ „ხომ არ დაგველია გამარჯვების სადღეგრძელო, აბა ამოიღეთ თქვენი ტოლჩები“ — ამბობს სტალინი. თავადაც აიღო ალუმინის ტოლჩა, და თავად დაგვისხა და თავისთვისაც გაივსო ტოლჩა ქართული ღვინით, რომელიც ყოველთვის გვქონდა სამზარეულოში. ყველამ გამოვცალეთ ჩვენი ტოლჩები, სტალინმა კი ერთი ყლუპი მოსვა (სხვათა შორის, სტალინი ყოველთვის ძალიან ცოტას სვამდა, მე ის ნასვამი არასოდეს მინახავს, ყოველთვის „ატენურსა“ და სხვა ქართლის ღვინოს ამჯობინებდა). შემდეგ თავისთან მიმიხმო, ხელიდან საათი მოიხსნა და მითხრა. „ეს შენ ჩვენი გამარჯვების აღსანიშნავად!“.

სხვათა შორის, ეს საათი შემდეგ ა.რთველაძის ვაჟს კოტეს დარჩა. ახლა სტალინის საათი სახელოვანი პაპის შვილიშვილთან, ალექსანდრე რთველაძე-უმცროსთან ინახება, როგორც საოჯახო რელიკვია.

როდესაც 1945 წელს იგონებდა, ალექსანდრე რთველაძემ ასევე ღირსსახსოვარ მოვლენად მოიხსენია ფიზკულტურელთა აღლუმი. „მე ნება მომცეს, — ამბობდა რთველაძე, — მივსალმებოდი ამ ღონისძიებას. ეს იყო რაღაც ფანტასტიკური. ყოველი რესპუბლიკა ტანსაცმლითაც, სპორტული ვარჯიშებითაც განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. როდესაც დიქტორმა იური ლევიტანმა გამოაცხადა, რომ წითელ მოედანზე შემოდის მზიური საქართველოს ფიზკულტურელთა დელეგაცია, ყველა ერთბაშად მარცხნივ შებრუნდა, ოვაციებითა და სასიხარულო მზერით ესალმებოდნენ სტალინის სამშობლოს წარმოგზავნილებს. ეს იყო როგორც სასწაული. ქართველმა ტანმოვარჯიშეებმა პირდაპირ მავზოლეუმის ტრიბუნის წინ წარმოადგინეს ურთულესი ელემენტები. მე მთავრობის ტრიბუნის გვერდით ვიდექი და შევნიშნე, რა გაცხოველებით და სიხარულით გადაელაპარაკნენ ერთმანეთს სტალინი, ვოროშილოვი, მოლოტოვი და, რასაკვირველია, ბერია, რომელსაც მანამდე, 1945 წლის 9 ივლისს, საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება მიანიჭეს. საღამოს კუნცოვოში, ახლო აგარაკზე, ვახშმად სტალინთან მე კვლავ დავინახე ავერელ ჰარიმანი, რომელიც გენერალ დუაიტ ეიზენჰაუერს ახლდა თან. ყველა ფიზკულტურელთა აღლუმზე ლაპარაკობდა“...

იხ. 9 გვ.

## აზერბაიჯანი-საქართველო

# რას უნდა ველოდოთ გაფართოებული შაჰ-დენიზიდან?

**რას მისცემს შაჰ-დენიზის გაფართოება ევროპას და რას მისცემს იგი საქართველოს? ძალიან მნიშვნელოვანი ენერგეტიკული პროექტის გაფართოებას მთავრობის წევრები და ექსპერტები ეხმაურებიან.**

**საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის თქმით, მილსადენის მშენებლობის პიკის პერიოდში ქვეყანაში, დაახლოებით, 2 ათასი, ხოლო ექსპლოატაციის პერიოდში — 130 ახალი მუდმივი სამუშაო ადგილი შეიქმნება. „გარდა ამისა, მილსადენის ამოქმედების შემდეგ, ჩვენ მივიღებთ დამატებით ბუნებრივ აირს, რაც საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“,** — განაცხადა კალაძემ.

**შაჰ-დენიზის ნავთობსადენის მე-2 ფაზის პროექტის განვითარების ფარგლებში საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ბუნებრივი აირის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები გაფორმდა. გარდა ამისა, პროექტი ითვალისწინებს სამხრეთ კავკასიური მილსადენის გაფართოებას, რათა თურქეთის მიმართულებით წლიურად, დამატებით 16 მლრდ კბ/მ გაზის მიწოდება განხორციელდეს. დაგეგმილია პარალელური მილსადენის მშენებლობა — 387 კმ აზერბაიჯანის, ხოლო 55 კმ-ის — საქართველოს ტერიტორიაზე. ამასთანავე, ორი დამატებითი საკომპრესორო სადგურის, ახალი წნევის რეგულირებისა და გამზომი სადგურის ინსტალაცია საქართველოში.**

არსებული შეთანხმების თანახმად, საქართველოს შეუძლია ტრანზიტით გატარებული გაზის 5% შეღავათიან ფასად შეისყიდოს, რაც, გაზსადენის მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაში, წელიწადში დამატებით 1 მლრდ კბ/მ-ს შეადგენს. ამასთან, პარალელური მილსადენების მშენებლობისთვის საქართველოს პორტებისა და რკინიგზის გამოყენებით, დაახლოებით, 350 ათასი ტონა სამშენებლო ტვირთისა და მასალების გადაზიდვა განხორციელდება.

შაჰ-დენიზის საბადო ყველაზე დიდია აზერბაიჯანში, რომელიც კასპიის ზღვაში მდებარეობს. მისი რეზერვი, დაახლოებით, 1 ტრილიონი კბ/მ-ია. საბადოზე გაზისა და გაზის კონდენსანტის მოპოვება 2006 წელს დაიწყო. მეორე ფაზიდან ამოსაღები გაზის სავარაუდო მოცულობა წელიწადში 25 მლრდ კბ/მეტრია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** შაჰ-დენიზის მე-2 ფაზის პროექტი შეაფასა. მისი თქმით, შაჰ-დენიზის მეორე ფაზის ხელმოწერას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ევროპისთვის, ვინაიდან, ახლო მომავალში, შესაძლოა, მთლიანად შეიცვალოს ევროპის ენერგეტიკული რუკა.



**„აზერბაიჯანი არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი. ჩვენ აზერბაიჯანთან გვაქვს მრავალსაუკუნოვანი კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სფეროებში მჭიდრო თანამშრომლობა და ჩემი ჩამოსვლა იყო დემონსტრირება იმისა, რომ ჩვენ ვაგრძელებთ თანამშრომლობას“,** — განაცხადა პრემიერმა.

რაც შეეხება იმას, თუ რა სარგებელი შეიძლება მიიღოს საქართველომ ამ პროექტიდან, პრემიერ-მინისტრის თქმით, დაახლოებით 5 წლის განმავლობაში იგეგმება 700 მილიონამდე დოლარის ოდენობის ინვესტიცია, გაჩნდება 2-3 ათასი სამუშაო ადგილი, 16 მლრდ კბ/მ-მდე გაიზრდება გაზის გამტარუნარიანობა, საიდანაც 5% საქართველოში დარჩება. შესაბამისად, ეს არის კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იმისთვის, რომ საქართველომ კიდევ უფრო ეფექტურად აითვისოს საკუთარი დერეფანი და ამას დიდი მნიშვნელობა ექნება რეგიონისთვის.

შაჰ-დენიზის პროექტის მეორე ფაზის დაწყების ინიციატივას არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების ინიციატივა“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **ლევან კალანდაძე** გამოეხმაურა.

**„შაჰ-დენიზის პროექტი ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი და შეიძლება ითქვას, საუკუნის პროექტია საქართველოსთვის და არა მხოლოდ თავისი მეტად მნიშვნელოვანი ეკონომიკური თუ სოციალური დატვირთვით. უპირველეს ყოვლისა, შაჰ-დენიზის მილსადენი ეს არის უმნიშვნელოვანესი ტრანსნაციონალური პროექტი, რომელიც ჩვენს ქვეყანას საშუალებას მისცემს ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს აზია-ევროპის დამაკავშირებელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ენერგეტიკულ ქსელში, გახდეს ამ უდიდესი პროექტის მნიშვნელოვანი მონაწილე და მაქსიმალურად გამოიყენოს გეოსტრატეგიული როლი და სატრანზიტო დერეფნის ფუნქცია.**

**პრაქტიკულად, ეს არის შესაძლებლობა საქართველოსთვის. შაჰ-დენიზის პროექტმა კიდევ მეტად უნდა გაზარდოს ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის და ენერგოუსაფრთხოების და აქედან გამომდინარე, ზოგადად ქვეყნის საერთაშორისო უსაფრთხოების დონე.**

**მთავრობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საზრუნავსა და პრიორიტეტს სწორედ ის უნდა წარმოადგენდეს, რომ შაჰ-დენიზის მეორე ფაზის რეალიზაციის პროცესში, ეს პროექტი მაქსიმალურად იყოს მორგებული საქართველოს ეკონომიკურ და საერთაშორისო უსაფრთხოების ინტერესს“,** — განაცხადა კალანდაძემ.

**ეკა ბაქრაძე**

## დედამიწის ზურგზე



**პუტინთან გარიგებისა და ბიუჯეტის ჩამოყალიბების შემდეგ იანუკოვიჩი ოპოზიციასთან მოლაპარაკებას ცდილობს**

**უკანასკნელ დღეებში ხელისუფლების ძალისხმევის წყალობით საპროტესტო დაპირისპირება უკრაინაში მნიშვნელოვნად შემცირდა. ამას ხელი შეუწყო, როგორც ვლადიმერ პუტინთან ვიქტორ იანუკოვიჩის წარმატებულმა მოლაპარაკებამ, რომლის დროსაც მიიღო ჩამოფასება გაზზე და კრედიტი 15 მილიარდ დოლარზე, ასევე რადას მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ მომიტინგეთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესახებ.**

* * *

**ობამამ 13 კაცი შეიწყალა. შეწყალებაზე ის უფრო ძუნწია, ვიდრე მისი წინამორბედები, შენიშნეს ჟურნალისტებმა**



**შედარებისთვის, მისმა უშუალო წინამორბედმა, რესპუბლიკელმა ჯორჯ ბუშ-უმცროსმა თავისი ორი საპრეზიდენტო ვადის განმავლობაში ეს 200-ჯერ გააკეთა, მანამდე დემოკრატმა ბილ კლინტონმა კი — 459-ჯერ. ობამამ ამგვარი რამ პატიმართა მიმართ ჯერჯერობით მხოლოდ 40-ჯერ გააკეთა.**

* * *

**სამხრეთ სუდანში გაეროს მისიის ბაზაზე თავდასხმის მსხვერპლი გახდა სამი მშვიდობისმყოფელი ინდოეთიდან**



**დანარჩენი ცოცხლად დარჩენილები იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ თავიანთი ბაზა, რომელიც ჯონგლეის შტატშია, მას შემდეგ, რაც თავდამსხმელებმა შეძლეს დაცვის გარღვევა. 40 „ცისფერი ჩაჩქანი“ ევაკუირებულია იმ რაიონში, რომელსაც აკონტროლებს სუდანის გათავისუფლების ეროვნული არმია. გაეროში შეშფოთებული არიან 32 მშვიდობიანი მცხოვრების ბედით, რომლებიც ბაზაზე იმალებიან.**

* * *

**ლონდონის თეატრ აპოლოში წარმოდგენის დროს ჩამოინგრა ჭერი და აივანი**

**მონაცემები დაზარალებულთა შესახებ 88-დან 76 კაცამდე შეამცირეს. მათგან 51 ჰოსპიტალიზებულია, 7 დაჭრილია სერიოზულად. შუა ღამისთვის მოახდინეს ყველა დაზარალებულთა ევაკუირება. პოლიციამ დაიწყო გამოძიება. იქ ჯერჯერობით არ აპირებენ მომხდარი შეაფასონ, როგორც დანაშაულის განზრახვა. ეს, უფრო მეტად, უბედური შემთხვევაა.**



## გამოკვლევა

# არაფერი იცვლება?!

გამოქვეყნდა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მორიგი გამოკვლევა — „საზოგადოების განწყობა საქართველოში“, რომლის მიხედვითაც, ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხებად კვლავ რჩება „სამუშაო ადგილები“ და „ტერიტორიული მთლიანობა“. ამასთან, **გამოკითხულთა 75-80 პროცენტი მიიჩნევს, რომ ამ მიმართულებებით 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მდგომარეობა არ შეცვლილა. გარდა ამისა, კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა 79 პროცენტს მოსწონს პრემიერ-მინისტრად ირაკლი ღარიბაშვილის დასახელება, ხოლო 72 პროცენტს არ მოსწონს საქართველოს ამჟამინდელი ურთიერთობა რუსეთთან.**

თბილისში მცხოვრები 50 წლის მაია არსენიშვილი ამბობს, რომ მის ოჯახს ბევრ პრობლემასთან უწევს გამკლავება, თუმცა, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი უმუშევრობაა: „ადამიანს თუ სამსახური და ხელფასი ექნება, მაშინ მეტნაკლებად შეძლებს ყველაფერს — თავსაც მიხედავს და ოჯახსაც. ხალხიც დაწყნარდება და აღარ იქნება ასე გაღიზიანებული“.

**„ენ-დი-აის“ გამოკვლევამ აჩვენა, რომ მაია არსენიშვილივით ფიქრობს გამოკითხულთა 62 პროცენტი.** ამასთან, **შეკითხვაზე, თვლით თუ არა თავს დასაქმებულად, უარყოფითი პასუხი გასცა რესპონდენტთა 69 პროცენტმა.** „ენ-დი-აის“ საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ლუის ნავაროს თქმით, **ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემათა ჩამონათვალში ასევე მოხვდა „ტერიტორიული მთლიანობა — 39 პროცენტი, ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება — 31 პროცენტი და საღარიბე — 30 პროცენტი.** ამასთან, ლუის ნავაროს თქმით, ასევე საინტერესო იყო იმის გაგება, თუ როგორ შეიცვალა მდგომარეობა, ამ საკითხების თვალსაზრისით, უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში:

„კითხვაზე, 2012 წლის ოქტომბერთან შედარებით, როგორ შეიცვალა მდგომარეობა ძირითად საკითხებთან მიმართებით, მოსახლეობა აცხადებს, რომ არაფერი შეცვლილა, ანუ იგივე მდგომარეობაა, თუმცა, შედარებით პოზიტიური დინამიკა შეიმჩნევა ისეთ საკითხებში, როგორიცაა: ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება, პენსიები, სიტყვის თავისუფლება, სამართლიანი არჩევნები და რუსეთთან ურთიერთობა. რაც შეეხება **იმ საკითხებს, რომელთა აღქმისას „გაუარესება“ სჭარბობს „გაუმჯობესებას“, ასეთებია: სამუშაო ადგილები, ტერიტორიული მთლიანობა, სიღარიბე, ფასების ზრდა და ინფლაცია“.**

ლუის ნავაროს თქმითვე, გამოკვლევის მიხედვით, **ბიძინა ივანიშვილის მიერ თბილისის მერობის კანდიდატის დასახელებას, ქვეყნის მასშტაბით, ამართლებს 43, ხოლო, თბილისის მასშტაბით — 39 პროცენტი. ამასთან, შეკითხვას, მოგწონთ თუ არა ბიძინა ივანიშვილის მიერ პრემიერ-მინისტრის პოსტზე დასახელებული ირაკლი ღარიბაშვილი, 79-მა პროცენტმა დადებითად უპასუხა.** თბილისელებისათვის დასმულ ამ შეკითხვაზე რადიო „თავისუფლებამ“ ასეთი პასუხები მიიღო:

„ღარიბაშვილი? მე ძალიან მომწონს! ახალგაზრდაა, პირდაპირი და ამის გამო კარგი განწყობით ვარ მის მიმართ“.

„ნორმალურია! განათლებულია და კარგი ბიოგრაფიაც აქვს“.

„მთავარია, რომ გვერდზე უდგას ბატონი ივანიშვილი. ეს არის მთავარი!“

„არანაირი შეხება არ მაქვს მის საქმიანობასთან... არ მიგრძნია რამის გაუმჯობესება“.

„ბრწყინვალეა! პირველად როცა ვნახე, ისეთი სათნო სახით გამოიხედა, რომ ეჭვი არ მეპარება, ხალხისთვის ბევრ კარგ საქმეს გააკეთებს“.

„ენ-დი-აის“ მიერ ჩატარებული კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი საგარეო ურთიერთობებს ეთმობა. ირკვევა, რომ **სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობა მისაღებია 70 პროცენტისთვის, საქართველოს გაერთიანებას ევრაზიულ კავშირში იწონებს გამოკითხულთა 11 პროცენტი, ხოლო ევროკავშირში გაწევრიანებას - 68 პროცენტი. მოსაზრება, რომ რუსეთი საქართველოსათვის არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს, სრულად გაიზიარა 23-მა პროცენტმა. გამოკვლევის მიხედვით, საქართველოს ამჟამინდელი ურთიერთობა რუსეთთან არ მოსწონს გამოკითხულთა 72 პროცენტს.**

კვლევის შედეგების მიხედვით, **უმცირესობათა უფლებების დაცვა საქართველოს დემოკრატიული განვითარებისათვის მნიშვნელოვნად მიაჩნია გამოკითხულთა 60 პროცენტს. 73 პროცენტს აღწევს იმ რესპონდენტთა წილი, რომლის აზრითაც, არსებული ხელისუფლება ახორციელებს მნიშვნელოვან ცვლილებებს, ხოლო მოსაზრებას, საპარლამენტო ოპოზიცია რომ ხელისუფლებაში იყოს, განახორციელებდა ჩვენთვის მნიშვნელოვან ცვლილებებს, იზიარებს გამოკითხულთა 24 პროცენტი, მაშინ, როცა არასაპარლამენტო ოპოზიციის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 17 პროცენტია.** ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი გამოკვლევის დანარჩენ — პოლიტიკური რეიტინგების — ნაწილს 20 დეკემბერს გამოაქვეყნებს.

**ჯიმშერ რეხვიაშვილი**

ისტორიის უცნობი ფურცლები

# სტალინის პირადი მზარეული

როდესაც კუნცევო ახსენა, რთველაძემ კვლავ 1941 წლის ოქტომბრის დღეები გაიხსენა, როდესაც მას ორი ღამის გათევა მოუწია აგარაკზე სტალინთან ერთად. აგარაკის მიდამოებში ქალები, ხანდაზმულები, ბავშვებიც კი თხრიდნენ თავდაცვის თხრილებსა და არხებს. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მოსკოვში საშინელი პანიკა სუფევდა, იგი განსაკუთრებით გაძლიერდა იმ ხმების შემდეგ, სტალინი მოსკოვში არ არისო. აღელვებული ბრბო გარს შემოერტყა აგარაკს კუნცევოში, გარე დაცვამ მას გზა გადაუკეტა. ხმაურზე სტალინმა, რომელსაც მოკლე-მოკლე პერიოდებით ეძინა, გაიღვიძა, გავიღვიძეთ ჩვენც. როცა გაიგო, თუ რაში იყო საქმე, მან დაცვას უბრძანა, გამოეშვათ მისკენ ხალხი. როცა სტალინი დაინახეს, ყველამ მუხლი მოიყარა მის წინაშე, რის შემდეგაც მოსკოველებმა გაორმაგებული ენერგიით დაიწყეს მუშაობა“.

„ის, რომ მთელი საბჭოთა ხალხი, — იხსენებდა ა.რთველაძე, — აღმერთებდა სტალინს — ეს ხალასი სიმართლეა. მაშინ ყველა მორწმუნეს სტალინის პორტრეტი ქრისტეს ხატის გვერდით ჰქონდა. სტალინს ყველა ჩვენგანი აღვიქვამდით, როგორც ღვთაებას. ის ძალიან უყვარდა ხალხს, და ისიც ამ ხალხით ცხოვრობდა, ამ ხალხისთვის მოქმედებდა“. „ერთი შემთხვევა გამახსენდა, — განაგრძობდა ა.რთველაძე. —ერთხელ, ორმოციანი წლების ბოლოს, სტალინმა ჩვენთან სამზარეულოში შემოიარა, ის ამას ხშირად აკეთებდა. მას აინტერესებდა ჩვენგან გაეგო მოსკოვის ამბები. როცა ჩემი თანაშემწე ქალბატონის მოწყენილი სახე შენიშნა, სტალინმა მიმართა: — მარია ივანეს ასული, დღეს რაღაც ხასიათზე ვერა ხართ, რაშია საქმე?“— არაფერი, იოსებ ბესარიონის ძევ, უბრალოდ ვარ ასე. სტალინი კარგად გვიცნობდა და მიხვდა, — ქალს რაღაც უჭირდა. იგი თავისთან მიიხმო, ისე მეგობრულად, თბილად ჩახედა თვალებში, რომ იმან თავი ველარ შეიკავა და ჩუმად წამოიძახა: „აი, ამ ცოტა ხნის წინათ, იოსებ ბესარიონის ძევ, სამუშაოს შემდეგ გასტრონომში შევედი, მინდოდა მეყიდა ძეხვი, კარაქი, პური. არა მხოლოდ წონაში მომატყუეს, არამედ ჩემ შენიშვნაზე უხეშადაც კი მომმართეს“. ყველამ ვიგრძენით, რომ სტალინს სახე შეეცვალა. არაფერი უთქვამს, გამოვიდა სამზარეულოდან. დანარჩენი უკვე ნიკოლაი სერგის ძე ვლასიკმა გვითხრა, რომელსაც არაფერს ვუმალავდით. თურმე, მეორე დღესვე პოლიტბიუროს სხდომაზე სტალინმა გამოიძახა ვაჭრობის მინისტრი, რომელიც თავის უწყებაში უწესრიგობათა გამო გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. მაშინ ამბობდნენ, რომ ერთ საათში მდგომარეობა გამოსწორდა, ყველგან გაჩნდა საკონტროლო სასწორები, ხურდას კაპიკს კაპიკზე უხდიდნენ, და ჩვენც ამას თავადაც ვხედავდით“...

ჩემს შეკითხვაზე სტალინის გემოვნების, საყვარელი კერძების შესახებ ბატონმა ალექსანდრემ მიპასუხა, რომ „სტალინი წუნია არ იყო საჭმელთან დაკავშირებით, ჭამდა ძალიან ცოტას, ნელა. ასეთი იყო კრემლის ყველა მკვიდრის ცხოვრების წესი. მისი საყვარელი კერძი იყო ბატკნის მწვადი, ძალიან მოსწონდა ქართული კერძები“. უყვარდა კანიანად შემწვარი კარტოფილი, რომელსაც ა.რთველაძე ჰაერღუმელში ამზადებდა, სპეციალურ ვაგონშიც კი თეირანისკენ და სხვა კონფერენციებისკენ მგზავრობის დროს. დღის განმავლობაში კი, ხშირად ღამითაც, მას მუდმივად მიჰქონდა სტალინთან ჩაი ლიმონით —მისი საყვარელი სასმელი.

რაც უნდა გვეკეთებინა, ვალდებული ვიყავით, გვეცნობებინა გენერალ ნიკოლაი ვლასიკისთვის ან კრემლის დაცვის ვეტერანებისთვის გიორგი ალექსანდრეს ძე ეგნატაშვილსა და პავლე მიხეილის ძე რუსიშვილისთვის — სტალინის გორელი მახლობელი ადამიანებისთვის.

გიორგის მამა კი — ალექსანდრე იაკობის ძე ეგნატაშვილი დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში, ითვლებოდა სტალინის ყველაზე მახლობელ და ნდობით აღჭურვილ პიროვნებად. საშა ბიძია,სიყვარულით ასე ეძახდნენ ა.ეგნატაშვილს მახლობლები და მეგობრები, ყველასთვის საყვარელი ადამიანი იყო, ძალიან კეთილი და ამავე დროს ძალიან მომთხოვნიც. როდესაც 1943 წლის ნოემბერში თეირანის კონფერენციაზე ჩვენმა ჩეკისტებმა გაიგეს, რომ ჩერჩილი აღმერთებს თართს და დაგვავალეს მოგვეხარშა იგი მთლიანად (დაუჭრელად) ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის დაბადების დღისთვის, მე მოვიფიქრე, თუ როგორ უნდა გაგვეკეთებინა ეს. ეგნატაშვილმა სიხარულით გადამკოცნა. ჩეკისტებმა ბაქოდან სასწრაფოდ ჩამოიტანეს ორი მეტრნახევრიანი სიგრძის თევზი,იქვე, ბაქოში, მოამზადეს უზარმაზარი როფი (ე.წ. „ლოხანკა“) და მარლის თაბახთან ერთად გადმოგვცეს. ჩვენი საელჩოს სამეურნეო ეზოში ავანთეთ კოცონი, ადუღებულ წყალში ჩავაგდეთ მარლაში გახვეული თართი, მარლის ბოლოები კი ხის ტოტებზე გადავკიდეთ. როგორც კი რთველაძემ აცნობა, ეგნატაშვილმა ფრთხილად დაიწყო თართის ამოღება — ძალიან ღონიერი იყო, ახალგაზდობაში ძლიერ მოჭიდავედ ითვლებოდა. თართი დადეს უზარმაზარ ლანგარზე, რომელიც ლენინგრადის ერმიტაჟიდან ჩამოიტანეს. რთველაძემ ისე კოხტად გააფორმა და შეკმაზა თევზი, რომ ხელოვნების ნიმუში გამოვიდა. ეს დიდი ლანგარი საზეიმოდ შეიტანეს საბანკეტო დარბაზში და დადეს იუბილარის წინ. ჩერჩილის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა...

როგორც თეირანშიც, ჩვენი სალიტერო სპეციალური მატარებელი, უმკაცრეს საიდუმლო ვითარებაში, 1945 წლის ზამთარში წავიდა იალტის კონფერენციაზე. და აქაც ჩვენმა საყვარელმა საშა ეგნატაშვილმა ყველაფერი შესაძლებელი და შეუძლებელიც კი გააკეთა, რათა კონფერენცია სათანადო დონეზე წარმართულიყო. სხვათა შორის, სტალინმა საშა ეგნატაშვილი ყირიმში დატოვა სახელმწიფო აპარატების სამმართველოს უფროსად. 1948 წლის ბოლო დღეს გენერალ-ლეიტენანტი ა.ი.ეგნატაშვილი გარდაიცვალა, ის დიდი პატივით დაკრძალეს გორში. სტალინმა ძალიან განიცადა ეს ამბავი, ისინი ხომ ძმებივით იყვნენ ერთმანეთთან.

ზაფხულში კი, ომის შემდეგ, რთველაძე სტალინთან ერთად იმავე ვაგონით მოსკოვიდან გაემგზავრა გერმანიაში, სადაც პოტსდამში „დიდი სამეულის“ მესამე შეხვედრა გაიმართა. თუ თეირანში კონფერენცია 4 დღე გრძელდებოდა, იალტაში — 8 დღე, პოტსდამში 17 დღე გაჭიანურდა, მაგრამ დაღლილობას, თუმცა მეტად დაძაბულად მუშაობდნენ, არ გრძნობდნენ, მათ გვერდით ხომ სტალინი იყო — ფაშიზმზე გამარჯვებული ბელადი.

... ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავის წინ ალექსანდრე რთველაძე ოჯახმა გორში ჩაიყვანა, სადაც სტალინის პირადი ვაგონი დააყენეს. ამ მგზავრობაში ის საზეიმო ტანსაცმლით წავიდა. კიტელს წითელი ვარსკვლავის, II ხარისხის „სამამულო ომის“ ორდენები, მედლები „კავკასიის დაცვისთვის“, „საბრძოლო დამსახურებისთვის“ და სხვა ჯილდოები ამშვენებდა. როდესაც სტალინის პირად ვაგონში ავიდა, რომელიც მან ზეპირად იცოდა, ა.რთველაძე ხელით ეფერებოდა ხან სამოვარს, საიდანაც ბელადს ჩაის უსხამდა ხოლმე, ხან მრგვალ მაგიდას, რომელზეც ბელადი მუშაობდა, დიდ რუკას, რომელშიც გზაში ყოფნის დროს, სტალინს კორექტივები შეჰქონდა, სახელურებს, ყოველ დეტალს.



**ლევან დოლიძე,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი**

დასაქმება

# ახალ კადრებს არავინ კადრულობს

**დასაქმების პორტალ hr.ge-ს ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ 2013 წელი კადრების შერჩევის კუთხით პასიური წელი იყო, მოთხოვნის ზრდა შარშანდელთან შედარებით, დაბალკვალიფიციურ მუშახელზე დაფიქსირდა. ასეთივე შეფასებას აკეთებენ სხვა დასაქმების სააგენტოები. ესეც რომ არ იყოს, ყველა მოქალაქისთვის ნათელია, რომ ქვეყანაში სამუშაო ადგილები თითქმის არსად შექმნილა. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს ტრადიციული პრობლემა — უმუშევრობა — ჩვეულებრივად „თავის სიმაღლეზეა“.**



**საქართველოში ყველაზე მოთხოვნადი პროფესიები გაყიდვების მენეჯერი, ბუღალტერი და ფინანსური მენეჯერია, ხოლო ყველაზე მაღალანაზღაურებად პოზიციებს შორის ფინანსური დირექტორი, კომპანიების გენერალური და კომერციული დირექტორები და IT სპეციალისტები სახელდება, რომელთა საშუალო ანაზღაურება 3-6 ათას ლარამდეა.**

**ყველაზე დეფიციტურ კადრებს შორის კი, დასაქმების პორტალზე გამოკვეთილი ტენდენციის მიხედვით, სხვადასხვა წარმოების ტექნოლოგიის სპეციალისტები არიან. „ყველაზე ხშირად წარმოების ტექნოლოგებზეა მოთხოვნა, თუმცა ბაზარზე ამ სფეროს კვალიფიციური კადრები ცოტაა,“** — აცხადებენ კომპანიაში.

დასაქმების სააგენტოებში აცხადებენ, რომ ვაკანსიებიც შემცირდა და სხვადასახვა კომპანიების აქტიურობაც. ასე რომ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოქვეყნებული უმუშევრობის ზრდის პროგნოზი რეალობისგან ძალიან შორს არ უნდა იდგეს. მათი აზრით, 2013 წელს უმუშევრობა საქართველოში 1,7%-ით გაიზრდება და 16,7%-ს მიაღწევს, ხოლო გაისად ეს მაჩვენებელი კიდევ მოიმატებს - 17,3%-მდე.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურს წლიური შედეგები ჯერჯერობით არ გამოუქვეყნებია, მაგრამ უმუშევრობის დაძლევის მხრივ რამე წინსვლა რომ არ იქნება, ეს შეიძლება აქედანვე ითქვას.

ეკონომიკის ექსპერტი გიორგი აბაშიშვილი აცხადებს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზში ეჭვის შეტანა ძნელია, თუმცა, არც ის არის მიზანშეწონილი, რომ ფონდის ნებისმიერ დასკვნასა თუ რეკომენდაციას „უაპელაციოდ მივუდგეთ“.

**„საქართველოსთვის უმუშევრობა უკვე წლებია ურთულეს პრობლემას წარმოადგენს და რეგიონში ყოველთვის ერთ-ერთი ყველაზე ცუდი მაჩვენებელი გვქონდა. ცხადია, უახლოეს პერიოდში ამ მხრივ მდგომარეობის გამოსწორებას არ უნდა ველოდოთ. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ მიმდინარე სტატისტიკური მაჩვენებლები, რომელიც გვიჩვენებს, რომ საქართველოში საგანგაშო ტენდენცია არ იკვეთება. მაგალითად, 2013 წლის ორ კვარტალში ბიზნესსექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2012 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს აღემატება“,** — ამბობს გიორგი აბაშიშვილი, რომლის აზრითაც უმუშევრობის არსებულ დონეს უმთავრესად კერძო სექტორში სამუშაო ადგილების სიმცირე განაპირობებს.

დარგის სპეციალისტთა ნაწილი საქართველოს მთავრობასთან ერთად სავალუტო ფონდს და მის პოლიტიკასაც აკრიტიკებს, რომელიც დასაქმების ზრდის ხელშესაწყობად მთავრობის ჩარევას სუბსიდიებისა და სახელმწიფო პროგრამების გზით გამართლებულად მიიჩვენს.

**„საერთაშორისო სავალუტო ფონდი ჩემთვის ავტორიტეტი არ არის. მათი რეკომენდაცია იშვითად უწყობს ხელს ეკონომიკური თავისუფლების გაფართოებას და, როგორც წესი, გაცხადებულ მიზანს ვერ აღწევს. მათი პროგნოზები, ხშირად, სტატიკური მდგომარეობის ანარეკლია და ცვლილებათა დინამიკას ვერ ითვალისწინებს. პრობლემა უმუშევრობა 1%-იანი ზრდა კი არ არის, არამედ ის ფაქტი, რომ უმუშევრობის დასაძლევად ინსტიტუტი სახელმწიფოს ჩარევის გაფართოებას, მეტ ხარჯებს და სესხებს იწონებს. სსფ-ისთვის მისაღებია სახელმწიფო დასაქმების პოლიტიკა, სახელმწიფოს მიერ სულის მლაფავი წარმოებების და წამოწყებების სუბსიდირება, განათლებისა სხვა დარგების პირდაპირი დაფინანსება. მოკლედ, სსფ ბიუროკრატიაა. მას არ შეუძლია პასუხი აგოს, რადგან მათი ექსპერტები ფინანსურად არ არიან დაინტერესებული პრობლემის მოგვარებით, მათ მათი გამრავლება და გახანგრძლივება უფრო სჭირდებათ“,** — ამბობს „ახალი ეკონომიკური სკოლა — საქართველოს“ პრეზიდენტი, პაატა შეშელიძე „ბიპიენთან“ საუბრისას.

**ეკა ბაქრაძე**

ალიან-ჩალიანი

## სასჯელაღსრულების დაწესებულებებში 1032 პატიმარი შიმშილობს

**სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინფორმაციით, მსჯავრდებულები შიმშილობენ.**

**სასჯელაღსრულების №2 დაწესებულებაში — 2 პატიმარი.**

**სასჯელაღსრულების №6 დაწესებულებაში — 3 პატიმარი.**

**სასჯელაღსრულების №7 დაწესებულებაში — 21 პატიმარი.**

**სასჯელაღსრულების №8 დაწესებულებაში — 19 პატიმარი.**

**სასჯელაღსრულების №15 დაწესებულებაში — 25 პატიმარი.**

**სასჯელაღსრულების №17 დაწესებულებაში — 14 პატიმარი.**

**სასჯელაღსრულების №19 დაწესებულებაში — 2 პატიმარი.**

**როგორც სამინისტროში განმარატვენ, აღნიშნულ დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულები და ბრალდებული ინდივიდუალური მოთხოვნებით შიმშილობენ.**

**946 მსჯავრდებული შიმშილობს სასჯელაღსრულების №14 (გეგუთის) დაწესებულებაში. მათი მოთხოვნა მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნა და საქმეების გადახედვაა.**

**სასჯელაღსრულების №5 დაწესებულებაში განთავსებულმა 52-მა ქალბატონმა გუშინ უარი განაცხადა პურის მიღებაზე.**

## ყარაჯალაში ხანძრის შედეგად, 15-სულიანი ოჯახი უსახლკაროდ დარჩა

**ადგილზე მობილიზებული იყო სახანძრო სამაშველო სამსახურის ბრიგადები, ხანძარს მსხვერპლი არ მოჰყოლია, თუმცა, ცეცხლი იმდენად ძლიერი იყო, რომ აბდულაყიზების სახლი მთლიანად დაიწვა.**

**ოჯახმა საყოფაცხოვრებო ნივთების გადარჩენაც ვერ შეძლო. წინასწარი ინფორმაციით, ხანძარი მოძველებული ელექტროსადენებიდან გაჩნდა.**

**ინტერპრესი**

### ხელბურთი



## ჩემპიონი – უდანაკარგოდ

**საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნულ ჩემპიონატში მე-2 წრის პირველი ტურის პაექრობები დასრულდა.** როგორც მოსალოდნელი იყო, უდანაკარგოდ ლიდერობს ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი სტუ, რომელმაც ვიცე-ჩემპიონ ბათუმს განმეორებითი შეხვედრაც მოუგო 42:36 და ახლა მას 4 ქულით უსწრებს. ბოლო ტურის კიდევ სამი შეხვედრა ასე დასრულდა: თელავი– ჭაბუკთა ნაკრები –24:23, პეგასი – სამტრედია 47:46, იმედი – ქუთაისი - 39:29. მე-2 წრის მე-2 ტურის მატჩები 2014 წელს განახლდება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 11 | 11 | 0 | 0 | 383-254 | 22 |
| ბათუმი | 11 | 9 | 0 | 2 | 457-344 | 18 |
| სამტრედია | 11 | 6 | 0 | 5 | 404-387 | 12 |
| იმედი | 11 | 6 | 0 | 5 | 335-364 | 12 |
| პეგასი | 11 | 4 | 2 | 5 | 357-380 | 10 |
| თელავი | 11 | 2 | 1 | 8 | 289-329 | 5 |
| ქუთაისი | 11 | 2 | 1 | 8 | 311-411 | 5 |
| ჭაბუკები | 11 | 1 | 2 | 8 | 305-372 | 4 |

**ბომბარდირები:** უჩა გამზარდია (ბათუმი) – 95, ირაკლი თევზაძე (სამტრედია) – 84, ლექსო წითელიშვილი (სამტრედია) – 84, ალექსანდრე ცხვარაშვილი (პეგასი) – 84 გოლი.

**გიორგი გაგუა**

### ყურაში

## მედლების სრული კომპლექტით

**სტამბოლში დამთავრდა ყურაში (უზბეკური ეროვნული ჭიდაობა) მორიგი მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება.** ამჯერად თურქეთში 51 ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. ქართველმა ფალავნებმა ამ შეჯიბრებაში სამი მედალი მოიპოვეს. 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში თედო აბელაშვილმა ყველა მეტოქეს სძლია, მათ შორის – ირანელ მსოფლიოს ჩემპიონ რაჰმაჯოხან ხოჯატის და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო ალექსანდრე ნანიევმა და ვერცხლის მედალს დასჯერდა, ხოლო გიორგი იაძეს (90 კგ) მესამე ადგილი ერგო.

**ვაჟა ნოსირელი**

### სამიზნე

## რიბერი სასამართლომაც გაანაწყენა

**მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველმა ფრანკ რიბერიმ სასამართლოში ორი ჟურნალისტის წინააღმდეგ აღძრული საქმე წააგო. ბავარიელთა ფრანგი ლეგიონერი ამ ჟურნალისტების მიერ გამოშვებულმა წიგნმა სახელწოდებით „რიბერის ცხოვრების შავი მხარეები“ აღაშფოთა და ავტორებს უჩივლა.**



წიგნში ფრანკ რიბერისთან დაკავშირებულ რამდენიმე სკანდალზეა ყურადღება გამახვილებული, მათ შორის პარიზის ერთ-ერთი ღამის კლუბის არასრულწლოვან მეძავთან ფეხბურთელის ურთიერთობაზე. ამავე მეძავის სახელს ჟურნალისტები კიდევ ერთ ფრანგ ფეხბურთელთან, მადრიდის „რეალის“ ფორვარდ ქარიმ ბენზემასთან აკავშირებენ.

რიბერის ადვოკატები სკანდალური წიგნის გაყიდვიდან ამოღებას მოითხოვენ და ჯერ კიდევ აქვთ იმედი, რომ მიზანს მიაღწევენ.

**გიორგი შოთაძე**

### ალალ იყოს!

## სიმეონე AS-ის რჩეულია

**მადრიდის „ატლეტიკოს“ მთავარმა მწვრთნელმა დიეგო სიმეონემ გაზეთ AS-ის პრემია მიიღო, რომელიც ყოველწლიურად სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლებს გადაეცემათ. გამარჯვებული, ტრადიციულად, მკითხველებს შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა.**




შეგახსენებთ, რომ 2012-13 წლების სეზონში არგენტინელი სპეციალისტის მიერ გაწვრთნილმა „ატლეტიკომ“ დიდ წარმატებას მიაღწია – ესპანეთის თასის ფინალში მადრიდელებმა თანაქალაქელ „რეალს“ 2:1 მოუგეს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

### წყალბურთი

## ფორტუნამ თურქეთი გვარგუნა




**საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ნაკრებმა (ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა კაპანაძე, ბექა ქენქაძე, ტატო ნიკოლეიშვილი, გალაქტიონ ლაითაძე, ზურაბ რურუა, მიხეილ ბაღათურია, რევაზ იმნაიშვილი, კონსტანტინე გეგელაშვილი, ლევან ჩიქვინიძე, ბექა ქავთარაძე, გიორგი ხვედელიანი, ალექსანდრე რუსიშვილი, ალექსანდრე ყაზახიშვილი.** მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ ისელიძე, მწვრთნელი იოვან პოპოვიჩი), რომელიც ამჟამად საწვრთნელ შეკრებაზე სერბეთში იმყოფება და იქვე საკლუბო გუნდებთან ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრებსაც გამართავს, 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი წარმატებით გაიარა და პლეი-ოფში თამაშის უფლებაც მიიღო. ორიოდე დღის წინ ბარსელონაში წილისყრა გაიმართა და ფორტუნამ ჩვენს გუნდს მეტოქედ თურქეთის ნაკრები არგუნა. ფინალური ეტაპის დანარჩენი ხუთი საგზურის მაძიებელნი ასე დაწყვილდნენ: ჰოლანდია-რუსეთი, საფრანგეთი-მალტა, სლოვაკეთი-ხორვატეთი, რუმინეთი-დიდი ბრიტანეთი, უკრაინა-ესპანეთი. პლეი-ოფები შინ და გარეთ 2014 წლის 15 თებერვალსა და პირველ მარტს გაიმართება.

ევროპის ჩემპიონატის ფინალურ პაექრობებს გაისად 14-27 ივლისს ბუდაპეშტი უმასპინძლებს. მასში მონაწილეობის უფლება შარშანდელი პირველობის შედეგებით სერბეთს, ჩერნოგორიას, უნგრეთს, იტალიას, გერმანიასა და საბერძნეთს განაღდებული აქვთ.

**ლაშა დიდია**

### კალათბურთი

## ანტრაქტის წინ



**საერთაშორისო სტუდენტური საკალათბურთო ლიგის მეორე გათამაშებამ წლეულს, 15 ოქტომბერს ჩვენთან – თბილისის სპორტის სასახლეში აიღო სტარტი.** მაშინ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლები მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის გუნდთან 75:83 დამარცხდნენ. ჩვენმა ბიჭებმა რამდენიმე დღის წინათ მოსკოვშიც წააგეს (87:103) განმეორებითი შეხვედრა. სამაგიეროდ, როსტოვში სამხრეთის ფედერალური უნივერსიტეტის კალათბურთელებს მეორე წრის პაექრობაც მოუგეს – 98:89 (30:10, 21:33, 27:21, 20:25) და დროებით მეორე ადგილზე გადაინაცვლეს. როსტოველებთან მატჩში საუკეთესო იყო ირაკლი ალხანაიძე, რომელმაც გუნდს 34 ქულა შესძინა.

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| მგუ | 10 | 8 | 2 | 821-749 | 18 |
| სტუ | 9 | 5 | 4 | 735-714 | 14 |
| ხპი | 7 | 6 | 1 | 538-425 | 13 |
| კპი | 8 | 3 | 5 | 530-531 | 11 |
| რსფუ | 8 | 2 | 6 | 630-704 | 10 |
| რსეუ | 8 | 1 | 7 | 569-700 | 9 |

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელები მომდევნო მატჩს 25 დეკემბერს შინ ხარკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ხპი) გუნდთან გამართავენ. მათი პირველი წრის შეხვედრა ჩვენმა კალათბურთელებმა სტუმრად 62:67 დათმეს.

**ლექსო ცინცაძე**

### ესეც სტატისტიკაა

## სამართალდამრღვევი ფეხბურთელები: მარადონა, ბარტონი, დემეტრაძე

**ბოლო დროს სამართალდამცავებს საფეხბურთო წრეებში აქტიური მუშაობა უწევთ, რადგან დანაშაულის ფაქტები უფრო და უფრო ხშირდება.** ისტორიას არაერთი ფეხბურთელი ახსოვს, რომელთაც სხვადასხვა დროს კანონთან პრობლემები ჰქონიათ. Championat.com-მა რვა ასეთი ფეხბურთელი გამოყო, რომელთა შორის საქართველოს ეროვნული ნაკრების ფორვარდი გიორგი დემეტრაძეცაა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ სიაში სამხრეთამერიკელები ჭარბობენ.







**მანუჩარ გიორგაძე**

### ინტერნეტიდან

## სკანდინაველები – ყველაზე სპორტული ქალები მსოფლიოში

**როგორც იცით, ქალთა ემანსიპაციის და უფლებების დაცვის მხრივ სკანდინავიის ქვეყნები განსაკუთრებულად მოწინავენი არიან და ეს სკანდინავიაში ქალების სპორტისადმი დამოკიდებულებითაც აისახება.**

როგორც სტატისტიკა გვაჩვენებს, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით პროცენტული გაანგარიშებით სპორტს ქალები შედარებით აქტიურად შვედეთსა და ნორვეგიაში მისდევენ, მათ შემდეგ კი კანადა და ფინეთი მოდიან.

სკანდინავიის ქვეყნები ყველაფერთან ერთად იმითაც გამოირჩევიან, რომ ქალების როლი ამ ქვეყნების ცხოვრებაში ძალიან დიდია. მაგალითად, ფინეთის წინა მოწვევის პარლამენტში ქალების რაოდენობა მამაკაცი პარლამენტარების რაოდენობასაც კი სჭარბობდა.



**როსტომ რაჭველიშვილი**

ამასაც თუ ცხოვრება ჰქვია!

# „ქვითრების ბიზნესი“ და უშეშოდ დარჩენილი სოციალურად დაუცველები

**ზამთარი უკვე ძალაში შევიდა და ამ დროს სოციალურად დაუცველი ოჯახების ნაწილი უშეშოდაა. თუმცა, წლეულს მისი მომარაგება არათუ სოციალურად დაუცველებისთვის, არამედ შედარებით წელგამართული ოჯახებისთვისაც კი პრობლემაა.**

**ღიაგარემოსდაცვითი სამოქალაქო ინიციატივის (OECI) სამეგრელოს რეგიონული კოორდინატორის მაია კოდუას განცხადებით, მოსახლეობის ძირითადმა ნაწილმა მხოლოდ მცირე რაოდენობის შეშის ყიდვა მოახერხა.**

„ეს მარაგი ზამთრის სეზონისთვის საკმარისი არ არის და მაქსიმალურად ზოგავენ. უშეშოდ მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მცირეშემოსავლიანი ოჯახები დარჩნენ“, —ამბობს მაია კოდუა.

ასეთი ოჯახებისთვის შეშის მარაგების შექმნა მუნიციპალიტეტების გამგეობებში დაიწყო. „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობამ, „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტთან“ შეთანხმებით და სატყეო სამსახურის დახმარებით, ლიცენზირებული ტყიდან რვა სატვირთო მანქანა შეშის გამოტანა მოახერხა, რომელიც 30-მდე ოჯახს გაუნაწილეს. „დღეისათვის მცირე რაოდენობის შეშა კიდევ გვაქვს დარჩენილი და საჭიროების მიხედვით გავცემთ“, — ამბობენ გამგეობაში.

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 117 კბ/მ შეშა დაამზადა. გამგეობის ინფორმაციით, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისაგან 50-მდე განცხადებაა შემოსული. შესაბამისად, თითო ოჯახზე 3 კბ/მ შეშა გაიცემა. შეშის სახლში მიტანას თავად მოსახლეობა უზრუნველყოფს.

მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მხოლოდ 8 ოჯახის დახმარება შეძლო. შეშა ქარისგან წაქცეული და ხმელი ხეებისგან შეგროვდა. კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობაც დაეხმარა.

ზამთრის სეზონზე არსებული პრობლემებისთვის უფრო მომზადებული აღმოჩნდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, რომლის ბიუჯეტშიც გათვალისწინებული იყო თანხები უმწეო კატეგორიის ოჯახების დასახმარებლად. ყველაზე დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებს სათბობის შესაძენად 100-ლარიანი ფულადი შემწეობა გადაეცათ.

მდგომარეობა რთულია მარტვილის მუნიციპალიტეტის კურზუს თემის სოფელ დობერაზენში. აქ ყოველი მეხუთე ოჯახი შეშის გარეშეა დარჩენილი. კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ქსელის ინფორმაციით, თოვლის მოსვლის შემდეგ ადგილობრივმა ომარ ნაჭყებიამ ეზოში ტყემლის ხე მოაჭრევინა. „ესეც მხოლოდ რამდენიმე დღე შეიძლება გვეყოს და მერე რა გვეშველება, არ ვიცი“, — ამბობს ომარ ნაჭყებია. მას მხედველობა აქვს დაკარგული, ცოლიც მძიმე ავადმყოფია, შვილს კი, დამბლის გამო, მოძრაობა აქვს შეზღუდული.



რთულ მდგომარეობაშია 82 წლის იაშა ნაჭყებიას ოჯახიც, რომელიც ხანდაზმულ ცოლთან, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე შვილთან და არასრულწლოვან შვილიშვილთან ერთად ცხოვრობს. მას ცოტა ხნის წინ გულის ოპერაცია გაუკეთდა, ფიზიკურად ველარ შრომობს და არც თანხა გააჩნია შეშის შესაძენად.

75 წლის მარტოხელა გული ნაჭყებიასაც ორი თვის წინ, შვილის დასაფლავების დღეებში მოტანილი შეშიდან მხოლოდ რამდენიმე დღის სამყოფიღა შემორჩა. მისთვის გაუგებარი მიზეზის გამო, ის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების სიიდანაც ამოიღეს. „ერთი წლის წინ მოვინენ, რალაცები აღწერეს და დახმარება მომიხსნეს. არადა, არც ტელევიზორი მაქვს და არც მაცივარი, მხოლოდ ძველთაძველი კარადაა და სხვა უმნიშვნელო ნივთები. გულის პრობლემები მაქვს და ავტობუსით მგზავრობაც არ შემიძლია, რომ მიზეზი მაინც გავარკვიო“, — ამბობს გული ნაჭყებია.

მეზობლების მოტანილი შეშის ორი კვირის მარაგი აქვს მრავალშვილიან დემურ ნაჭყებიასაც, რომლის 5 წლის ბავშვს მენინგიტის დიაგნოზი დაუსვეს.

კურზუს თემის სოფლების მოსახლეობამ ნოემბერში საპროტესტო აქციები გამართა. ტყეკაფების მიუვალ ადგილებზე გამოყოფამ მოსახლეობას შეშის უკანონო მოპოვებისკენ უბიძგა. შედეგად, რამდენიმე მანქანა დააკავეს და დააჯარიმეს.

საერთოდ, შეშის მომარაგება არათუ სოციალურად დაუცველებისთვის, არამედ შედარებით წელგამართული ოჯახებისთვისაც კი პრობლემა აღმოჩნდა. ამას ბევრი მიზეზი აქვს: ტყეკაფების სიშორე, ტექნიკურ-მატერიალური პრობლემები, უგზოობა და მათ შორის ე.წ. ტყის ბილეთების დეფიციტი.

ღია გარემოსდაცვითმა სამოქალაქო ინიციატივამ, რომელიც საქართველოს შვიდ რეგიონში ტყეების დამოუკიდებელ მონიტორინგს ახორციელებს, საშეშე მერქნის გაცემის პროცესში მნიშვნელოვანი დარღვევა დააფიქსირა. სათემო კავშირ „ჰერეთის“ წარმომადგენელი შეშის ქვითრების უკანონო ბიზნესზე საუბრობს და სატყეო სამსახურს მის ხელშეწყობაში ადანაშაულებს.

საუბარია ცალკეული პირების მიერ ბუნებრივი რესურსით სარგებლობის მოსაკრებლის გადახდის ქვითრების დიდი რაოდენობით შეძენაზე, შემდგომში კი, უბილეთოდ დარჩენილი მოსახლეობისთვის თანხის გამოძალვაზე.

„სანამ გლეხები გაიგებენ, ყველა ქვითარი უკვე გაყიდულია. თითო გადამყიდველი ასობით ქვითარს იღებს და მერე სამმაგ ფასში ასაღებს. ზოგჯერ სამლარიან ქვითრებს 15 ლარადაც ვყიდულობთ. სატყეოშიც ყველაფერი იციან და ამ უკანონობას ხელს უწყობენ. ბანკიდან ვინ რამდენი ქვითარი გაიტანა, მაგის გარკვევა ძალიან მარტივია“, — ამბობს სათემო კავშირი „ჰერეთის“ წარმომადგენელი მინდია დუმბაძე.

სათემო კავშირი „ჰერეთისკარი“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ყველაზე შორეულ სოფელში 2010 წლიდან ფუნქციონობს და სოციალური-ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული, ეკოლოგიური და სასოფლო-სამეურნეო პრობლემების გადაჭრას ცდილობს. პრობლემები კი სოფელში, სადაც მაღალმთიანი აჭარიდან სხვადასხვა დროს ჩამოსახლებული ეკომიგრანტები ცხოვრობენ, მართლაც ბევრია. მინდია დუმბაძის ინფორმაციით, „ქვითრების ბიზნესი“ მარტო „ჰერეთისკარის“ პრობლემა არ არის და მას კახეთის სხვა სოფლებშიც მისდევენ.

**გიორგი ბექაური**

მობილური კავშირგაბმულობა

# როცა ერთნაირი გადასახადი ყველას არ მოსწონს

**კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პერსონალური შემადგენლობის გადახალისება ბოლო დროს ამ უწყებაში აშკარად უფრო დემოკრატიულ გადაწყვეტილებათა მიღებაში აისახა. ამის ბოლო მაგალითი კავშირგაბმულობის ოპერატორი კომპანიებისთვის ურთიერთჩართვის (ანუ საბითუმო) ახალი ზედა ზღვრული ტარიფის დაწესება გახდა.**

კერძოდ, ლაპარაკია იმის თაობაზე, რომ გაისად, პირველი მარტიდან, მაგთისა და ჯეოსელისათვის ურთიერთჩართვის ტარიფები სატელეფონო საუბრის ერთ წუთზე დღესდღეობით დადგენილი 8 თეთრის ნაცვლად 6 თეთრი იქნება, ხოლო ბილაინისთვის ამჟამინდელი 11 თეთრის ნაცვლად — 7 თეთრი (აქციზისა და დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით).

ამასთან, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ კავშირგაბმულობის ოპერატორების ურთიერთჩართვის ტარიფები კიდევ უფრო მეტად შემცირდება და სამივე კომპანიისთვის ერთნაირად, 5 თეთრით განისაზღვრება. ამდენად, იმის გამო, რომ საქართველოში მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორი კომპანიები, დღევანდელისგან განსხვავებით, გაისად სექტემბრიდან ურთიერთჩართვის თანაბარ პირობებში იქნება, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეს გარემოება მათ სატარიფო სტრატეგიის უფრო მოქნილად წარმართვის შესაძლებლობას მისცემდა, რითიც, საბოლოო ანგარიშით, მომხმარებელი მოიგებდა. თუმცა, როგორც ჩანს, ეს მთლად ასე არ არის, რადგან ამ კლების სატარიფო შეთავაზებებზე ასახვას მყისიერად არ უნდა ველოდოთ, ზოგიერთი კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, ოპერატორთა ურთიერთჩართვის ტარიფის შემცირებას სამომხმარებლო ტარიფების კლებასთან არაინაირი კავშირი არა აქვს. კერძოდ, ბილაინის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის თეონა ბალდავაძის განცხადებით, „მობილურ ბაზარზე ურთიერთჩართვის ახალი ზედა ზღვრული ტარიფის დადგენა საცალო ფასზე არ აისახება“. საკითხთან დაკავშირებით ქალბატონმა ბალდავაძემ ასევე აღნიშნა, რომ დათვლის სისტემის თაობაზე კომპანია ბილაინს კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიასთან კითხვები აქვს, რომლებსაც განასაჯაროებენ. ტარიფების „უცვლელობის“ კონკრეტული მიზეზი კი ამჟამად მოქმედი ტარიფების ისედაც საკმაოდ დაბალი ფასია.

თუ საქართველოში მობილური კავშირგაბმულობის ფასების დინამიკას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ 2003 წლის შემდეგ ოპერატორების ურთიერთჩართვის ტარიფი 22,8 თეთრიდან 2010 წელს ჯერ 14 თეთრამდე დაიწია, ხოლო კომისიის ახალი დადგენილებით კი გაისად მარტისთვის ჯერ 6 და 7 თეთრამდე, სექტემბრიდან სამივე კომპანიისთვის 5 თეთრამდე, ხოლო 2015 წლის სექტემბრისთვის სულაც 3,5 თეთრამდე შემცირდება.

— საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად უფლებამოსილია, ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე გამოავლინოს მნიშვნელოვანი საბაზრო წილის მქონე ოპერატორები და თავისი გადაწყვეტილებით დააკისროს მათ სპეციფიკური ვალდებულებები, მათ შორის დაუწესოს ზედა ზღვრული ტარიფები, — განაცხადა ეროვნული მარეგულირებელი კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ხატია ყურაშვილმა.

რაც შეეხება აღნიშნული დადგენილების წმინდა საქმიან ასპექტს, ამ მხრივ საინტერესოა ბილაინის პოზიცია, რომელიც მან, მისივე წარმომადგენლის დაპირებისამებრ, საზოგადოებასაც გააცნობს. ვფიქრობთ, რომ იქნებ მას შემდეგ ყველასთვის შესაძლოა უფრო ნათელი გახდეს, თუ რატომ არ შეიძლება მობილურ კავშირგაბმულობაში კიდევ უფრო მეტად მოქნილი სატარიფო პოლიტიკის წარმართვა.

**ოთარ ტურაბელიძე**

ინფორმაცია

# ნუ გავჩეხავთ ნაძვებს

**წიწვოვანი ნარგავების უკანონო მოპოვებასა და რეალიზაციაზე დღეიდან კონტროლი მკაცრდება. ამასთან დაკავშირებით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო განცხადებას ავრცელებს.**

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ბოლო რამდენიმე წელია, ტრადიციად ჩამოყალიბდა ახალი წლის წინა პერიოდში დიდი რაოდენობით ნაძვის, სხვა წიწვოვანი სახეობების მოჭრა და მათი რეალიზაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეიდან გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციისა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურთან კოორდინირებული თანამშრომლობით წიწვოვანი ნარგავების უკანონო მოპოვებასა და რეალიზაციაზე კონტროლს ამკაცრებს.

განცხადებაში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო კანონით დაწესებული სანქციების შესახებაც საუბრობს, რაც დაკავშირებულია ბუნებრივი წიწვოვანი სახეობების ახალგაზრდა ნარგავების მოჭრასა და საახალწლო ნაძვის ხეებად გამოყენების მიზნით მათ რეალიზაციასთან.

— სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ხე-ბუჩქნარისა და ტყის კულტურების მოსპობა და დაზიანება გამოიწვევს დაჯარიმებას 200-დან 400 ლარამდე. თუკი ქმედება ხორციელდება დაცული ტერიტორიის ფარგლებში, ჯარიმის ოდენობა იზრდება 400-დან 500 ლარამდე, ხოლო იგივე ქმედება, სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის საზღვრების ფარგლებში ან საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების მიმართ, გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 600 ლარამდე, — ნათქვამია განცხადებაში.



სამინისტროს ინფორმაციით, კანონით ისჯება ასევე სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ხე-ტყის უკანონო (კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტების გარეშე) ტრანსპორტირება, რაც გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით. დასჯადია ხე-ტყის ტრანსპორტირების წესის დარღვევა და იგი 200 ლარის ოდენობით ჯარიმას ითვალისწინებს.

— გარდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის აღნიშნული ზომებისა, ხდება გარემოსათვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშებაც. თუკი გარემოსათვის მიყენებული ზიანის თანხა შეადგენს ან აღემატება 1000 ლარს, დგება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

სამინისტრო ასევე შეახსენებს მოქალაქეებს, რომ წიწვოვნების რეალიზაცია დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი მოპოვებულია სანერგეებში, პლანტაციებში, საკარმიდამო ნაკვეთში ან იმპორტირებულია. ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია, რეალიზატორმა წარმოადგინოს სათანადო დოკუმენტები

განცხადება

**ჩემს** სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქუჩა №2ა, მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, ორიათას ცამეტი წლის ოცდაერთ მარტს გარდაცვლილი ბატონი სტანისლავ მოისეენკოვის (პ№61002000394) მიმართ, გთხოვთ, დაინტერესებულ პირებს მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქუჩა №2ა, **ნოტარიუსი ვალიდა ნინიძე**.

## დაიჯესტი

### ტეკილას „ბიძაშვილი“



**მესკალი — მთელ მსოფლიოში ბოლო დროს ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სასმელად იქცა, თუმცა, ჩვენში მას ტეკილას სახელით უფრო იცნობენ.** მას კაქტუს აგავადან აწარმოებენ, ხოლო სახელი ბოთლში ჩაგდებულმა... მუხლუხომ მოუტანა. როგორც ამბობენ, ტეკილას სასიამოვნო გემოსთან მუხლუხოს არავითარი კავშირი არა აქვს, მაგრამ ეს, როგორც ჩანს, კარგად მოფიქრებული მარკეტინგული სვლა იყო. ახლა კი ევროპაშიც და ორივე ამერიკაში მესკალს ბევრი თავგამოდებული თაყვანისმცემელი ჰყავს, რომლებიც თითო ჭიქა სასმელს... თითო პატარა ნაჭერ მუხლუხოს აყოლებენ!

### ბრიჯიტ ბარდოს „უმცროსი და“

**მრავალი წლის წინათ „სახეებზე მონადირეებმა“ იგი დიუსელდორფში ერთ-ერთ დისკოთეკაზე შენიშნეს. სიტყვა „მოდელი“ რომ გაიგო, მას სიცილი აუტყდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მშობლების ტელეფონი აგენტებს მაინც მისცა.**

მისი მშობლების „დაბმას“ ძალიან დიდი დრო დასჭირდა. „ჩვენ, პრინციპში, წინააღმდეგნი არა ვართ, მაგრამ არაფერი რომ არ გამოვიდეს?...“ — ეჭვობდნენ ისინი და მხოლოდ პარიზში სააგენტოში ვიზიტის შემდეგ განაცხადეს თანხმობა, ისიც ერთი წლის გამოსაცდელი ვადით.

მაშინ, შორეულ 1987 წელს, კლაუდია შიფერს 17 წელი შეუსრულდა. თავდაპირველად საქმე კარგად ვერ აეწყო, მაგრამ მერე თანდათანობით ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა. ეს გრძელფეხა ქერათმიანი ულამაზესი ქალი 90-იან წლებში მსოფლიოში სახელგანთქმული ფირმების „შანელისა“ და „ჰესის“ წამყვანი მოდელი იყო. თავისი მომხიბლაობისა და პარამეტრების წყალობით (სიმაღლე –181 სანტიმეტრი, 90-62-91) იგი დღეში 8-10 ათას დოლარს იღებდა.

მას ბრიჯიტ ბარდოს „უმცროსი და“ ანდა „90-იანების ბ.ბ.“ შეარქვეს. ჟურნალ „შპიგელის“ მტკიცებით, იგი გერმანელი ფრაუს ტიპური განსახიერებაა: კლაუდია ძალზე პუნქტუალური და მოწესრიგებულია.

საინტერესოა მისი ხასიათის კიდევ ერთი თვისება. რაში ხარჯავდა იგი იმ ფულს, რომელსაც შოულობდა? თურმე... მშობლებს უგზავნიდა! „ეს ფული ისე დააბანდეთ, რომ, როცა მოდელი აღარ ვიქნები, ისე ცხოვრება შემეძლოს, როგორც დღეს ვცხოვრობ, ანუ ნორმალურად“.

### ჩვენო დედიკო მამავ!

**როცა 74 წლის ასაკში ჯაზის მუსიკოსი ბილი ტიპტონი გარდაიცვალა, აღმოჩნდა, რომ იგი... ქალია! ახლა წარმოიდგინეთ, როგორ გააოგნა ამ ამბავმა მისი მეგობარი ჯაზმენები, რომ აღარაფერი ვთქვათ... მის ნაშვილებ (!) სამ ვაჟიშვილზე!**

### გონიერი ლაუდერი

**ლამაზი ლეგენდით, დღესდღეობით მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი პარფიუმერის მწარმოებელი ესტერ ლაუდერი თავისი კარიერის დასაწყისში დიდად წარმატებული არ ყოფილა.**

თავდაპირველად მის პროდუქციას პარფიუმერული მაღაზიები უხალისოდ იღებდნენ, ისიც დიდი ხვეწნით, რაც ახალგაზრდა ამბიციურ ქალს დიდად აღიზიანებდა. ამიტომ ერთ მშვენიერ დღეს იგი ნიუ-იორკის ერთ-ერთ ფეშენებელურ პარფიუმერიის მაღაზიას ესტუმრა და, ვითომ შემთხვევით, ფეხი დაუცდა, საკუთარი გამოშვებული სუნამოს ფლაკონი დაუვარდა და გატყდა. დარბაზში მყოფი ქალბატონები მომხიბლავმა არომატმა მიიზიდა და ახალგაზრდა ქალს გარს შემოეხვივნენ... ამ ამბის შემდეგ მაღაზია უბრალოდ იძულებული გახდა ესტერ ლაუდერთან სუნამოს მიწოდებაზე ხელშეკრულება დაედო, რადგან უცბად მასზე მოთხოვნა წარმოიშვა...

### ამურის ჰოლივუდური ანცობანი

**მრავალ განსხვავებას შორის, რომელიც მსოფლიო კინოინდუსტრიის მექას, ჰოლივუდს, ასე ვთქვათ, დანარჩენი სამყაროსგან გამოარჩევს, იქაურ ბინადართა ერთმანეთის მიმართ გამორჩეული დამოკიდებულებებია, მათი სასიყვარულო ურთიერთობები. თუ რაოდენ საკვირველია ზოგჯერ ეს კავშირები, თავად შეგიძლიათ განსაჯოთ.**

მაგალითად, გასული საუკუნის 90-იანი წლების ჰოლივუდელი ლამაზმანი ჯილ კლაიბორგი მეგა-




ვარსკვლავ ალ პაჩინოზე იყო შეყვარებული, რომელიც, თავის მხრივ, სანდრა სანტიაგოთი იყო გატაცებული. ეს ის დრო იყო, როცა სანდრა მომღერალ პრინცის საყვარელი იყო, რომელიც მარტო ამ სამხრეთელი ლამაზმანით არ დაკმაყოფილდა და ალეკ ბოლდუინს ულამაზესი ცოლი კიმ ბესინჯერი წაართვა. კიმს ალეკამდე კი ჯონ პეტერსი უყვარდა, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ბარბარა სტრეიზანდის საყვარელი იყო, მაგრამ მომღერალმა იგი დონ ჯონსონის გამო მიატოვა. თავის დროზე მისტერ ჯონსონი სიუზან სარანდონთან ერთად ცხოვრობდა, რომელიც, პარალელურად, ვერაფრით ელეოდა სინდი კროუფორდის ქმარ რიჩარდ გირს, ხოლო კინოფილმ „ლამაზმანის“ გმირი მილიარდერის როლის შემსრულებელი, ვიდრე სუპერ-მოდელი კროუფორდი გაექცეოდა, უშედეგოდ დასდევდა ლეგენდარული ელვის პრესლის ქალიშვილს პრისცილა პრესლის, რომელიც იმხანად ესპანელი მომღერლის ხულიო ეგლესიასის საყვარელი იყო...

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### ჟურნალ-გაზეთებიდან



### სტალინის ძეგლი გორში, ბელადის მუზეუმის ეზოში დაიდგმება

**გადაწყვეტილება** ამის შესახებ კულტურის სამინისტრომ მიიღო, როგორც გორის საკრებულოს თავმჯდომარე დავით თევზაძე აცხადებს, შეთანხმება ჯერჯერობით მხოლოდ სიტყვიერად არსებობს და ძეგლის დადგმის ზუსტი თარიღი დადგენილი არ არის. „თბილისმა გადაწყვიტა, რომ ძეგლი მუზეუმის ეზოში დაიდგმება და არა სკვერში. სიტყვიერად ეს მითითება მივიღეთ. თარიღი ჯერ არ უცნობებიათ და ჩვენც ველოდებით. ჩვენ გორელები ვართ. ეს მუზეუმიც და მისი ეზოც კულტურის სამინისტროს ეკუთვნის. ჰოდა, ისინი წყვეტენ ყველაფერს, — ამბობს საკრებულოს თავმჯდომარე.

**„რეზონანსი“**

### აფრასიძეებს გია ბარამიძის წინააღმდეგ სარჩელი შეაქვთ

**გასულ** კვირას პარლამენტში მომხდარმა ჩხუბმა აფრასიძეების წინააღმდეგ ჩატარებული სისხლიანი ოპერაცია კვლავ წინა პლანზე წამოსწია.

ამ საქმეზე დაკითხვას თავად ითხოვდა სისხლიანი ოპერაციის მთავარი გმირი გია ბარამიძე. პარლამენტში მომხდარი ინციდენტის შემდეგ გაირკვა, რომ თურმე იგი ამ საქმეზე არც კი დაუკითხავთ. როდის დაიბარებენ ბარამიძეს დაკითხვაზე, ჯერ არ ვიცით, სამაგიეროდ, ცნობილი გახდა, რომ აფრასიძეებს მის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეაქვთ.

**„ახალი თაობა“**

### გაუმაძღარი თბილისის საკრებულო

**„ინფორმაციის** თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მონაცემებით, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ ირაკლი შიხიაშვილმა 2013 წლის პირველი 10 თვის განმავლობაში, პრემიის სახით, 18684 ლარი მიიღო, მისი თანამდებობრივი სარგო კი, ყოველთვიურად 3550 ლარია, საკრებულოდან მიღებული დოკუმენტებით ირკვევა, რომ საკრებულოს თავმჯდომარეზე მეტი პრემია საკრებულოს წევრებმა ჯაბა სამუშიამ და გიორგი ტყემალაძემ მიიღეს და თითოეულ მათგანს, პრემიის სახით, 19095 ლარი ერგო. იანვარ-ოქტომბერში თბილისის საკრებულოს წევრებსა და პარტიის თანამშრომლებზე ერთობლივად გაცემულმა პრემიების საერთო რაოდენობამ 1707631 ლარი შეადგინა, საიდანაც საკრებულოს წევრებზე გაცემულია 439276 ლარი, ხოლო აპარატის თანამშრომლებზე 1268355 ლარი.

**„ალია“**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

— **მიხო**, რად გაეყარე ცოლს?
— რად და, მთელი სამი თვე, ერთსა და იმავეს მიმეორებდა, „სულ არ გიყვარვარო“...
— მერე რა?
— დამარწმუნა...

* * *

**რაც** უფრო ცარიელია თავი, მით უფრო გრძელია ენა.

* * *

**ხოხვისთვის** დაბადებული არასოდეს არ წაიბორძიკებს.

* * *

— **მიხო**, რა სახსრებით ცხოვრობ?
— პენსიით.
— როგორ, ოცდახუთი წლისა პენსიას ღებულობ?
— მე არა, მამაჩემი ღებულობს.



**რა** არის ჭორი? ეს არის ის, როცა სოფლის ერთ ბოლოში ადამიანს, უმოწმეებოდ, მისდაუნებურად გაზი გაეპარება, სოფლის მეორე ბოლოში კი იტყვიან, ჩაისვარაო! თანაც ამას იტყვიან მანამ, სანამ იმ საწყალს გაზი გაეპარებოდა.

* * *

**მიხომ** თავისი მამა საავადმყოფოში მიიყვანა. მიმღებში ეკითხებიან:
— ჩუსტები გაქვთ?
— გვაქვს!
— ხალათი?
— გვაქვს!
— საწოლის თეთრეული?
— გვაქვს!
— ლეიბი, საბანი, ბალიში?
— გვაქვს, ამ ყუთში გვიწყვია!
— ეს თეთრხალათიანი კაცი ვინ არის, გვერდით რომ გიდგათ?
— ექიმია, ყოველი შემთხვევისთვის წამოვიყვანე, ვაითუ, არ ჰყავდეთ-მეთქი!!!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24